

1-171

1986



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა

ISSN 0206-2674

და

ინსტრუქციათა

თბილისი

კრებული

1986

№ 8

აგვისტო

АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК
ПРИКАЗОВ

ТБИЛИСИ
1986

И
ИНСТРУКЦИЙ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლაში გამოვლინებულ დარღვევათა შესახებ

0055-7

კოლეგია აღნიშნავს, რომ 1985 წლის აგვისტოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იქნა მიცემული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლის ყოფილი დირექტორი ზ. მაისურაძე. წინასწარი გამოძიებით და სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ მაისურაძემ 1985 წლის თებერვალ-მარტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირში კონტრაბანდული გზით შემოიტანა 189.652 მანეთის სამთო-სათხილამურო ინვენტარ-მოწყობილობა და მუსიკალური ინსტრუმენტები. აღნიშნული მატერიალური ფასეულობიდან მცირე ნაწილი (68.800 მანეთის ღირებულებისა) ზ. მაისურაძემ სასპორტო სკოლის შემოსავალში აიღო, დანარჩენი კი (120.852 მანეთის ღირებულების) გადაამალა მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

ზ. მაისურაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა საკავშირო გაერთიანება „ტრაქტორექსპორტის“ მეშვეობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და შვეიცარიიდან თოვლის სატექნიკური მანქანების შეძენისა და მიღება-განაწილების ორგანიზაცია, დანაშაულებრივად დაუკავშირდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს თანამშრომელს ი. უვაროვს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმის „კეზბორელის“ წარმომადგენელს, მათ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დადებულ ხელშეკრულებაში ხელოვნურად გაზარდეს მანქანების სათადარიგო ნაწილების ღირებულება, რათა საშუალება ჰქონოდათ ზემოაღნიშნულ მატერიალურ ფასეულობათა კონტრაბანდული გზით შემოტანისა. ზ. მაისურაძე იმპორტული ტექნიკის თბილისში შემოტანას და გადმოტვირთვას შეგნებულად მალავდა, ხოლო ღირებულებას თვითნებურად ანგარიშობდა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ, რომელსაც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 7 მაისის განკარგულებით საკავშირო გაერთიანება „ტრაქტორექსპორტიდან“ მიღებულ ტექნიკასა და მოწყობილობაზე ანგარიშსწორების ჩატარება დაევალა, დაარღვია ურთიერთანგარიშსწორების წესი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მიღებული იმპორტული საქონელი შემოსავალში აიღო სათანადო საბუღალტრო საბუთების გარეშე (სპეციფიკაციის გარეშე).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
საბუღალტრო განყოფილება
1986 წლის 10 ივნისი



აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ხელი შეუწყო იმ გარემოებათა არსებობა, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბუღალტრო-სტატისტიკური ცენტრისა და ანგარიშგების და მომარაგების მთავარი სამმართველოები სათანადოდ არ აკონტროლებდნენ სასპორტო სკოლის სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასპორტო სკოლის საქმიანობაში გამოვლინებული იქნა უხეში დარღვევები:

სკოლაში არ ხორციელდებოდა საჭირო კონტროლი სახელმწიფო სახსრების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის, რის გამოც აღვილი ჰქონდა მატერიალურ ფასეულობათა მითვისების ფაქტებს, ასე მაგალითად, თვით სკოლის ყოფილ დირექტორს, ზ. მაისურაძეს მითვისებული აქვს 498 მანეთის ღირებულების ტელევიზორი და 150 მანეთის ღირებულების თხილამურების სამაგრი, ხოლო ინსტრუქტორ-მეთოდისტს, ნ. კოტრიკაძეს, 498 მანეთის ღირებულების ტელევიზორი, რაც დაფარული იქნა რევიზიის პროცესში. ამასთან, მისი საცხოვრებელი ბინიდან დაბრუნებულია 1029 მანეთის ღირებულების სკოლის კუთვნილი მაგნიტოფონი.

გარდა აღნიშნულისა, საწყობის გამგეს ა. ხაჩატურიანს ინვენტარიზაციის შედეგად გამოუვლინდა 20 მანეთის მატერიალური ფასეულობის დანაკლისი და 170 მანეთის ზედმეტობა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სასპორტო სკოლის მოსწავლეებისათვის თბილისის ტურისტული ბაზიდან შეძენილი 732 საგზურბიდან 4.900 მანეთის ღირებულების 133 საგზური ზ. მაისურაძემ ნაღდ ანგარიშზე უცხო პირებზე გასცა.

1983—1985 წლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე დაწესებული ნორმის ზევით აღმზრდელებად აყვანილი იყო 15 მშობელი, რომლებსაც კვებისა და სასტუმროს ხარჯებს უხდიდნენ.

1985 წლის იანვრის და მარტის შეკრების მონაწილეთა საგზურების შესაძენად სასპორტო სკოლის მიერ ტურისტული ბაზისათვის ზედმეტად იყო გადახდილი სპორტსმენთა კვების თანხა 1600 მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ სასპორტო სკოლაში დაბალ დონეზეა მეთოდური და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა. ინსპექტორ-მეთოდისტები არ ასრულებენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას, მწვრთნელ-მასწავლებელთა უმრავლესობა შემთავსებელი (18-დან 15) და არასპეციალისტია, ვერ ფლობს სწავლების მეთოდოლოგიასა და სასწავლო პროცესის ორგანიზაციას, არასწორად ადგენს სასწავლო გეგმებს, მოსწავლე სპორტსმენთა სპორტული შედეგები არ შეესაბამება საკავშირო მაჩვენებლებს, ადგილი აქვს მოსწავლეთა დიდი რაოდენობით განთესვას (59.9%), სკოლა ნაკლებად ზრუნავს საკუთარი კადრების მომზადებაზე, სუსტია შრომის დისციპლინა.

ზემოჩამოთვლილი დანაშაულებანი და ნაკლოვანებანი გამოწვეუ-



ლია განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომარაგების მთავარი და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოების მხრიდან აღნიშნული სკოლის მუშაობაზე არადაამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობითა და არასათანადო კონტროლით.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების და მომარაგების მთავარი სამმართველოების მუშაობა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ჩაითვალოს არადაამაკმაყოფილებლად.

2. სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლის საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობისადმი უკონტროლობისათვის, რამაც საფინანსო დისციპლინის დარღვევა გამოიწვია, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი ამხ. თ. ბალაშვილი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებას იმსახურებს, მაგრამ მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მას არ მიუძღვის უშუალო დანაშაული გამოვლენილ დარღვევებში, აგრეთვე მისი ხანდაზმულობა და ჯანმრთელობის გაუარესება, განთავისუფლდეს თანახმად პირადი განცხადებისა.

3. მატერიალურ ფასეულობათა ურთიერთანგარიშსწორების წესების დარღვევისათვის, რის შედეგადაც ზ. მაისურაძის მიერ ჩადენილი დანაშაული დაგვიანებით გამოვლინდა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. კ. ძლიერიშვილი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებას იმსახურებს, მაგრამ მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ მას არ მიუძღვის უშუალო დანაშაული გამოვლენილ დარღვევებში, განთავისუფლდეს თანახმად პირადი განცხადებისა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსი ამხ. დ. კვინიკაძე 1986 წლის მარტში განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სამთო-სათხილამურო სკოლის ყოფილი დირექტორი ზ. მაისურაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილებით მსჯავრდადებულია.

6. დავალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს ამხ. მ. მნათობიშვილს პირადი პასუხისმგებლობით ძირეულად გარდაქმნას სამმართველოს საქმიანობა სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლისადმი ხელმძღვანელობის საქმეში. მიიღოს ქმედითი ზომები მის მუშაობაში



არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, კვალიფიციური კადრების
 ბით დასაკომპლექტებლად, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი, სასწავლო-საწვრთნელი და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობე-
 ტებლად.

7. მიზანშეწონილად ჩაითვალოს განათლების სისტემაში სპორ-
 ტული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თანხების ხარჯვაზე კონ-
 ტროლის გაძლიერება, რისთვისაც საგეგმო-საფინანსო სამმართველოს
 უფროსს ამხ. ო. კერესელიძეს დაევალოს შეიმუშაოს და წარმოად-
 გინოს სათანადო ღონისძიებანი მიმდინარე წლის 15 ივლისამდე.

8. დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. გ. გორგოშიძეს ძირ-
 ფესვიანად შეისწავლოს მომარაგების მთავარი და საბუღალტრო აღ-
 რისცვისა და ანგარიშგების სამმართველოების საქმიანობა და შედეგე-
 ბი მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას 1986 წლის 15 სექ-
 ტემბრამდე.

9. კოლეგიის ეს გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 30 ივნისამდე
 განხილულ იქნეს სასპორტო სკოლების საერთო კრებებზე კოლეგიის
 წევრთა მონაწილეობით.

დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. ნ. ჩიკვილაძეს და ფიზი-
 კური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს ამხ. მ. მნათო-
 ბიშვილს შეადგინონ კრებების ჩატარების გრაფიკი.

10. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე და-
 ევალოს საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამმართველოს
 უფროსს ამხ. თ. ტატიშვილს.

გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა მოხსენდეს საქარ-
 თველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას მიმდინარე წლის
 1-ლი დეკემბრისათვის.

კოლეგიის თავმჯდომარე,
 მინისტრი ნ. შ. ვასაძე

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის
„ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც“ შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1986 წლის 30 იანვრის № 1-დ-3 ერთობლივი გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის ივნისში ტარდება მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 29 სახეობაში.

მიმდინარე წლის 12 ივნისს, გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც“ — მოყვანილი ფაქტები შემოწმებით, ძირითადად, დადასტურდა. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სპარტაკიადის ჩატარებისას ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს: კერძოდ, ქ. სოხუმის „ღინამოს“ სასროლეთზე ტყვიით სროლაში მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრების ჩატარების პერიოდში აჭარის ასსრ ნაერები გუნდის მწვრთნელის ს. წულუკიძისა და ქ. ქუთაისის ნაერები გუნდის მწვრთნელის უ. დინგაშვილის საძინებელ ოთახებში დაგროვილი იყო ღვინის ცარიელი ბოთლები, ხოლო ქ. სოხუმში შეჯიბრების ჩატარებაზე პასუხისმგებელ ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ი. ქუსიკაშვილის ოთახში — უამბანური ღვინით სავსე ბოთლი. ამასთანავე ი. ქუსიკაშვილი შემოწმების დროს, შეჯიბრების მიმდინარეობის პერიოდში არ იმყოფებოდა ადგილზე, რის შესახებაც არავინ იცოდა.

ქ. ვაგრაში ფეხბურთში ფინალური შეჯიბრების მონაწილენი, ნაცვლად გათვალისწინებული სასტუმროებისა, დაბინავებულ იქნენ კერძო ბინებში, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ წინასწარ წარმოადგინა განაცხადი მათი სასტუმროში დაბინავების შესახებ.

ქ. თბილისში გამართულ „იმედის სტარტების“ მონაწილე მოსწავლე-სპორტსმენები და ჩოგბურთელები მოთავსდნენ რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის, ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლისა და ბავშვთა-მოზარდთა ჭიდაობის სპორტული სკოლის საერთო საცხოვრებელში (პასუხისმგებელი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. დავიდოვი), სადაც უწყისიერობა იყო, ზოგან ანტისანიტარია სუფევდა, ზოგან მოუწყობელი იყო სანიტარული კვანძები.

ჭიდაობის ბავშვთა-მოზარდთა სპორტული სკოლის შენობა-ნაგებობაზე
სებულ სასადილოში მოუწესრიგებელი იყო კვების პროდუქტების
მომარაგების საკითხი. საერთოდ აღნიშნულ ობიექტებზე სპარტაკია-
დის მონაწილე მოსწავლეთა შორის არ ტარდებოდა იდეურ-აღმზრდე-
ლობითი მუშაობა.


ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალურმა რესპუბლიკურმა სპორტულმა
სკოლამ (ამხ. მ. ტულუში), რომელსაც უშუალოდ ევალება მოსწავ-
ლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ორგანიზაცია, სპორტის მთელ
რიგ სახეობებში ვერ უზრუნველყო სპარტაკიადის პროგრამით გათვა-
ლისწინებული ფინალური შეჯიბრებების მაღალორგანიზაციულ და
სპორტულ დონეზე ჩატარება. სკოლის ხელმძღვანელობის მხრივ ჯერ
კიდევ სუსტია მომთხოვნელობა და კონტროლი სასპორტო სკოლების
ხელმძღვანელებისა და ცალკეულ ორგანიზატორთა მიმართ, რამაც პირ-
დაპირი ასახვა ჰპოვა სპარტაკიადის მსვლელობისას.

ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობა იმან, რომ სპარტაკიადის
ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათ-
ლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართვე-
ლომ (ამხ. მ. მნათობიშვილი) თავის დროზე არ გაატარა საჭირო ღო-
ნისძიებები მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინა-
ლური შეჯიბრებების მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.
თავის დროზე არ მოიწვია შტაბის სხდომა, არ გამოიჩინა პრინციპუ-
ლობა სამმართველოს მუშაკთა და სამინისტროსადმი დაქვემდებარე-
ბული სპორტული ობიექტების ხელმძღვანელების მიმართ, რამაც სე-
რიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები გამოიწვია. სამმართველომ
დროულად არ შეატყობინა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორ-
განოებს სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებებისათვის მზადების შე-
სახებ.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათ-
ლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,
რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყო-
ფილებათა სუსტი მუშაობა ამ მიმართებით.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური
შეჯიბრებების ჩატარებასა და მათში ნაკრები გუნდების მონაწილეო-
ბაზე სუსტი კონტროლისა და მომთხოვნელობისათვის აფხაზეთის
ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების ფიზიკური აღზრ-
დისა და სპორტის განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. გ. ავიძბას,
ო. ბოლქვაძეს გამოეცხადოთ საყვედური. ცნობად იქნეს მიღებული,
რომ ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის ინსპექტორს ი. კაზიევს ქ. ქუთაისის სახალხო
განათლების განყოფილებამ საყვედური გამოუცხადა, ხოლო ამხ. ამხ.



უ. დინგაშვილი, ცინცაძე და აბესაძე გათავისუფლდნენ სამსახურელებიდან. 2. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ განიხილოს ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობისა და მწვრთნელის ს. წულუკიძის სასპორტო სკოლაში მუშაობის მიზანშეწონილობის საკითხი.

3. მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების ჩატარების დროს ტყვიის სროლაში, ჩოგბურთში, „იმედის სტარტებში“ დაშვებული სერიოზული შეცდომებისა და დისციპლინის დარღვევისათვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ტყვიის სროლაში ი. ქუსიკაშვილი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ამავე სკოლის მწვრთნელ-ინსტრუქტორს ა. დავიდოვს გამოეცხადოს საყვედური.

4. ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. მ. ტულუშს სპარტაკიადის ჩატარებაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებების, უკონტროლობისა და მომთხოვნელობის შესუსტებისათვის გამოეცხადოს საყვედური.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს მიერ გაწეული მუშაობა მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის მაღალორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის შეფასდეს არადამაკმაყოფილებლად.

5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ (ამხ. მ. მნათობიშვილი), ბავშვთა-მოზარდთა ცენტრალურმა რესპუბლიკურმა სპორტულმა სკოლამ (ამხ. მ. ტულუშ), სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებების დარჩენილი სახეობების მიხედვით მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა ყოველი შეჯიბრი ჩატარდეს მაღალორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე, აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპარტაკიადის საბოლოო შედეგები განხილულ იქნეს განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე 1986 წლის IV კვარტალში.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის,
 საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს
 და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო
 დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის
 რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის
 1986 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა
 და ჭგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების
 შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტეს:

1. ცნობა გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჭგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ (თან ერთვის) დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, სახალხო განათლების განყოფილებებს, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, კომკავშირისა და პროფკავშირის კომიტეტებს.
2. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჭგუფების მე-3 რესპუბლიკურ დათვალიერებაში გამარჯვებულად ჩაითვალოს:
 - ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა — I ადგილი;
 - ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის გახანგრძლივებული ჭგუფები — II ადგილი;
 - ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა — III ადგილი.
3. დათვალიერების დებულების შესაბამისად მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად და ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოეყოთ:
 - ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის საშუალო სკოლას 1000 მანეთი;
 - ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლას 700 მანეთი;
 - ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებულ დღის სკოლას 500 მანეთი.
4. გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჭგუფების მუშაობაში მიღწეული წარმატებებისა და მასში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სა-

მეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ აღნიშნული სკოლებისა და მათი შიგნით ორგანიზაციების მუშაკები (დანართი 1).

5. აღინიშნოს ზუგდიდის რაიონის სოფლების: კახათის, რუხისა და ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების გახანგრძლივებული დღის სკოლების, ქ. თბილისის მე-2, 23-ე, 41-ე, 72-ე, 130-ე, 147-ე, 155-ე, 182-ე, ქ. ქუთაისის მე-4, მე-8, მე-11, მე-12, 29-ე, 32-ე, 35-ე, ქ. ბათუმის მე-13, 28-ე, ქ. ფოთის მე-7, ქ. გორის მე-3, აბაშის 1-ლი, სავარჯის მე-4, სამტრედიის 1-ლი, წულუკიძის 1-ლი, წყალტუბოს ზონის 1-ლი, მე-4, სოფლების გეგუთის, მუხიანის, მალაკის, ტყიბულის ზონის სოფელ გურნის, ხობის რაიონის 1-ლი, სოფლების ჭალადიდის, ნოჯიხეთის, ცავერის რაიონისა და სოფელ ბარდნალის, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სახანოს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის, ზესტაფონის რაიონის სოფელ მე-2 სვირის 1-ლი საშუალო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნაყოფიერი მუშაობა.

6. აღინიშნოს ამ მიმართებით ავხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, მარნეულის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, ქარელის, ლავოდების, ლენტეხის, მარნეულის, მახარაძის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ხაშურის, წალკისა და ჩხოროწყუს რაიონების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების არასაკმარისი მუშაობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ რესპუბლიკურ კომისიის არ მიაწოდეს ცნობები ადგილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

7. სახალხო განათლების ორგანოებმა, კომკავშირისა და პროფკავშირის კომიტეტებთან ერთად შეუხელებელი ყურადღება დაუთმონ და ყოველდღიურად იზრუნონ გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და ქსელის გაფართოებისათვის, სუსტი ჯანმრთელობის მქონე და ექვსწლიანთა 1-ლი კლასის მოსწავლეთა დასვენებისა და ძილის ორგანიზაციის მოწყობისათვის, აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზაციის გონივრულად და სრულყოფილად გამოყენებისათვის;

—ადგილობრივ სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ გადამჭრელი ზომები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. უზრუნველყონ აღსაზრდელები ცხელი კერძებით, კვების პროდუქტების აუცილებელი ასორტიმენტით გაფართოონ და განამტკიცონ კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმებები, გააძლიერონ სამედიცინო და პედაგოგიური კონტროლი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმ ბავშვების სპეციალურ ფიზიკულტურულ ჯგუფებში მეცადინეობის ორგანიზაციას, რომლებსაც აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობის თავისებური გადახრები;

— ყოველმხრივ შეისწავლონ და განზოგადონ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში დაგროვილი მოწინავე გამოცდილება.

8. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (უფროსის მოვალეობათა შემსრულებელი ამხ. ო. ქავთარაძე) უზრუნველყოს გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და ჯგუფები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, თვალსაჩინოებით. სათამაშოებითა და რბილი ინვენტარით.

9. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. თ. ქევხიშვილი) ახალი სასკოლო შენობების დაპროექტების დროს გაითვალისწინოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის საჭირო ოთახები.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის გამგეობას, მეტი ყურადღება დაუთმონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთათვის კვების ბლოკების საჭირო პროდუქტებით (ხორცი, თევზი, რძე, რძის ნაწარმი, ახალი ხილი, ბოსტნეული და სხვა) მომარაგების საქმეს.

— საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააუმჯობესოს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება.

11. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს აღნიშნული გადაწყვეტილება და ცნობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ, ამასთან ყურადღება გაამახვილოს ამ დარგში მოწინავე გამოცდილების სისტემატურ განზოგადებაზე.



12. საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის სამსახურში (ამხ. თ. ტატიშვილი), საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებამ (ამხ. ა. ალავერდიაშვილი) და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა (ამხ. ა. ყორყოლაძე) სათანადო კონტროლი დააწესონ ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ნ. ვახტანგი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. მარბვილიძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი ნ. კაცხაიძე



გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში მიღწეული წარმატებებისა და მასში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებული სკოლებისა და შეფი ორგანიზაციების მუშაკთა სია:

1. გიგლემიანი გოჩა იავორის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი
2. სანდუხაძე ალექსანდრე იასონის ძე — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი
3. ყანდაშვილი ლაურა იოსების ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი
4. ქირია თინა პარტენის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
5. აბრამაძე ვახტანგ ნიკოლოზის ძე — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
6. მაჩიტაძე ნარგიზა კონსტანტინეს ასული — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
7. გიორგაძე ვალერიან იოსების ძე — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
8. ჭანტურია ცილა ევტიხის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
9. გოლიაძე ლია გურამის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
10. გაბისონია ვლადიმერ ვლადიმერის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე
11. ბეთანელი ნანული ალექსანდრეს ასული — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე



12. ორაგველიძე თინა ვლადიმერის ასული — ქ. თბილისის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე

13. ქარჩავა ბორის რაჟდენის ძე — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

14. მურტუღია არჩილ სერაპიონის ძე — ქ. ქუთაისის ელექტროტექნიკური ქარხნის დირექტორი

15. ხაჭაპურიძე ჯუმბერ აკაკის ძე — ქ. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკის დირექტორი

16. რუსია ლანა შალვას ასული — ქ. თბილისის ინდუქციის გაერთიანების დირექტორი

17. მეტრეველი ომარ ირაკლის ძე — ქ. თბილისის პროვენტილაციის სამმართველოს უფროსი

18. ესაკია ნონა კალისტრატეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

19. ანთია მანანა კონსტანტინეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

20. ხუბუა თამილა ჯაყოს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

21. ჩიქოვანი ელიკო ამინანის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

22. ქაჯაია აღდონა ექვთიმეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

23. ლომია ლიზა ალექსანდრეს ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

24. კოკელაძე ინეზა პავლეს ასული — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

25. ჯინჭარაძე ირა ნოეს ასული — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

26. თევზაძე ლამარა ალექსანდრეს ასული — ქ. ქუთაისის მე-2 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

27. არჩვაძე ნანა შოთას ასული — ქ. თბილისის 169-ე სახანგრძლივებულო დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

28. არჩვაძე იზა იონას ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

29. ბარამიძე მერი ერმილეს ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

30. ბარჩაია გუგული აკაკის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

31. ბოსტაშვილი ნელი მიხეილის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

32. გუჯაბიძე რუსუდან შალვას ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

33. ვარდოსანიძე მარინა ვლადიმერის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

34. კანაშვილი მერი მიხეილის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

35. ლორთქიფანიძე მარინა ალექსანდრეს ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

36. ლორთქიფანიძე ია იასონის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი


37. მაისაგაშვილი მარგარიტა ეფრემის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

38. მალაზონია ნათელა ნიკოლოზის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

39. მინდელი ქეთევან ივანეს ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

40. პატარაია გენრიეტა გრიგოლის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

41. სოზაშვილი მაყვალა შალვას ასული — ქ. თბილისის 169-ე



გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

42. ქაშხაძე თინა ლევანის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

43. ქევიციანი ნინო გიორგის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

44. ხარატიშვილი ციცო პარმენის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

45. ხატური ესმა არჩილის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

46. გელაშვილი მარინა გიორგის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

47. კელენჯერიძე მანანა მიხეილის ასული — ქ. თბილისის 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის აღმზრდელი

ფ. 5400

გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად 1985—1986 სასწავლო წელს ჩატარდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერება.

დებულების შესაბამისად დათვალიერება ჩატარდა ორ ეტაპად: 1-ლი ადგილობრივი სარაიონო კომისიების მიერ, ხოლო მე-2 რესპუბლიკური კომისიის მიერ ადგილებიდან წარმოდგენილი მასალების თანახმად, რომელთაგან ზოგიერთი გადაიწმინდა ადგილებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ.

დათვალიერების შედეგებით გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლებში სახალხო განათლების ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკვპ ცენტრალური კომიტეტის ივნისისა (1983 წ.) და აპრილის (1984 წ.) პლენუმების დადგენილებებით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 1984 წლის 25 სექტემბრის დადგენილებითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1984 წლის 13 დეკემბრის № 850 ბრძანებით. შეფი წარმოება-დაწესებულებების შრომით კოლექტივებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, პარტიული ორგანოების თაოსნობით, გარკვეული მუშაობა გასწიეს გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის ვაფართოების, მატერიალური ბაზის განმტკიცების, მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდისათვის აუცილებელი პირობების შექმნისა და მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ვაწეული მუშაობის შედეგად მე-2 რესპუბლიკური დათვალიერების შემდეგ შესამჩნევად ვაფართოვდა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი და მათში აღსაზრდელთა კონტინგენტი. თუ 1983—1984 სასწავლო წელს რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 4330 ჯგუფი 126598 მოსწავლით, მათ შორის 17 გახანგრძლივებული დღის სკოლა, მიმდინარე 1985—1986 სასწავლო წელს საქართველოში ფუნქციონირებს 4769 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი 136218




მოსწავლით, მათ შორის 21 განხგრძლივებული დღის სკოლებში, ჯგუფების რაოდენობა გაიზარდა 439 ერთეულით, ხოლო განხგრძლივებული დღის სკოლების რიცხვი 4-ით.

განხგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი სავრძნობლად გაზარდეს ზუგდიდის, ტყიბულის, სავარეჯოს, მახარადის, წალენჯიხის, ამბროლაურის, წყალტუბოს რაიონებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ხოლო ქ. თბილისში 1984—1985 სასწავლო წელს ფუნქციონირებდა 606 განხგრძლივებული დღის ჯგუფი და 7 განხგრძლივებული დღის სკოლა. მიმდინარე წელს ჯგუფების რიცხვი 181 ერთეულით (787 ჯგ.) გაიზარდა, ხოლო განხგრძლივებული დღის სკოლებისა 7-დან 11-მდე.

სასკოლო რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ ექვსწლიანთა 1-ლი კლასების განხგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთათვის ძილისა და დასვენების ორგანიზაციის საქმეში გარკვეული მუშაობა ჩაატარეს ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორის, ზუგდიდის, ბათუმის, ტყიბულისა და წყალტუბოს ზონების, ქობულეთის, ვანის, მაიაკოვსკის, ცაგერის, სამტრედიის, სავარეჯოს, ზესტაფონის, ხობის, თერჯოლის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, მაგალითად, თუ 1983—1984 სასწავლო წელს ქ. თბილისში განხგრძლივებული დღის ჯგუფების აღსაზრდელთათვის არსებობდა მხოლოდ 2 დასაძინებელი და 35 დასასვენებელი და სათამაშო ოთახი, დღეისათვის გამოყოფილია 15 დასაძინებელი, 65 დასასვენებელი და სათამაშო ოთახი. ასევე შეიძლება ითქვას ქ. ქუთაისზე, თუ ორი წლის წინ 36 სკოლიდან მხოლოდ ერთ (მე-2) სკოლაში იყო შექმნილი მოსწავლეთა დასვენებისა და ძილის პირობები, ამჟამად 16 სკოლას გააჩნია დასასვენებელი და გასართობი ოთახი, ხოლო 10 სკოლაში მოგვარებულია ექვსწლიანთა ძილის ორგანიზაცია და სხვა.

განხგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში შესამჩნევად გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა. კერძოდ, დღის მეორე ნახევარში ადრე არსებული საგაკვეთილო სისტემა შეიცვალა ბავშვთა შემოქმედებითი საქმიანობით — საწრეო, საკლუბო და სექტორული მუშაობით, ამ საქმეში გარკვეული როლი ითამაშა განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სპეცჯგუფმა, რომელმაც გარკვეული მუშაობა გასწია აღნიშნული ჯგუფების მეთოდური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად, გამოიკა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები: „განხგრძლივებული დღის ჯგუფში აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვის სტრუქტურა და შინაარსი“, „შინასასკოლო კონტროლის ზოგიერთი საკითხები განხგრძლივებული დღის სკოლაში“. „საინსპექციო-მეთოდური მასალები სასკოლო განხგრძლივებული დღის საკითხებზე“.

„ექვსწლიანთა 1-ლი კლასების მოსწავლეთა გახანგრძლივებული დღის
ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციის შესახებ“.




აღმზრდელითი მუშაობა კარგად ტარდება ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმის, ტყიბულის ზონის, ზუგდიდის, სვანეთის, მახარაძის, ქობულეთის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ხობის, ცხაკაიძის რაიონების რიგ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში.

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების როგორც მატერიალური ბაზის განმტკიცების, ისე კვების ბლოკების მშენებლობის საქმეში, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ზუგდიდის რაიონის სკოლების შეფი ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობა. გარდა იმისა, რაც სკოლების მშენებლობის საქმეში გააკეთეს სოფლების ინჯირის, კახათისა და რუხის კოლმეურნეობებმა, მათ თავიანთი სახსრებით მოაწყვეს დასასვენებელი ოთახები სოფლების ოქტომბრის, ჭითაწყაროს და სხვა სკოლებში. სოფელ რუხის საშუალო სკოლას კოლმეურნეობამ მიუშენა სასადილო 150 დასაჯდომი ადგილით, რაზედაც დახარჯა 53000 მანეთი, სოფელ კახათის კოლმეურნეობამ ხის პანელით მოაპირკეთა სასადილო, შეიძინა დახლმაცივარი და სხვა. სოფელ ახალი აბასთუმნის კოლმეურნეობამ ამავე სოფლის სკოლას აუშენა სასადილო 150 დასაჯდომი ადგილით, სოფელ ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობამ ამავე სოფლის სკოლას აუშენა 100 ადგილიანი სასადილო; სოფელ ინჯირის კოლმეურნეობამ ამავე სოფლის გახანგრძლივებული დღის სკოლის კეთილმოწყობისათვის მიმდინარე წელს 4400 მანეთი დახარჯა და სხვა.

უკანასკნელ პერიოდში ქ. თბილისში გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, აღმზრდელითი და გამაჯანსაღებელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში დავროვდა პედაგოგიური კოლექტივების, საშეფო საწარმოებისა და საზოგადოებრიობის ერთობლივი მუშაობის მნიშვნელოვანი დადებითი გამოცდილება. ამ მიმართებით მისაბაძია ორგანიზაციების — „საქპიდროენერგომშენი“, „ნიდმშენი“, ფერადი ტელევიზორების ქარხანა „ეკრანი“, საქართველოს „სამთოქიმიია“ — საქმიანობა, რომლებიც შეფობას უწევენ დედაქალაქის 194-ე, 144-ე და 147-ე საშუალო სკოლებს.

დამკვიდრდა კარგი ტრადიცია — წარმოება-დაწესებულებებთან გახანგრძლივებული დღის ჯგუფების შექმნა. ასე მაგალითად, საქარზნო რაიონში დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანასთან გახსნილია 2 გახანგრძლივებული დღის ჯგუფი, ავეჯის კომბინატ „განთიადთან“ — 1, ქარხანა თბილელსაწყოსთან — 1, ფინანსთა და კავშირგამბულობის სამინისტროებთან 2-2 ჯგუფი, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლ „პირიმუსთან“ — ბავშვთა ოთახი.



უნდა აღინიშნოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მზარდი ველი ყურადღება ქუთაისის წარმოება-დაწესებულებების მხრიდან. **გალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, აბრეშუმის საწარმოო** გაერთიანება, ქარხანა ავანგარდი, სახლმშენებელი კომბინატი და სხვა საწარმოები სკოლებს ეხმარებიან სასკოლო შენობათა შეკეთების, სკოლებზე მიშენების, გასათბობი სისტემის მოწყობისა და სხვა სამეურნეო საკითხების მოგვარების საქმეში; საშეფო დახმარების კარგ მაგალითებს იძლევიან, აგრეთვე, ტყიბულისა და წყალტუბოს ზონების, ჩოხატაურის, საგარეჯოს, მახარაძის, ქობულეთის, ამბროლაურის, კასპის, გურჯაანის, სამტრედიის, ზესტაფონის, ზუგდიდისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები.

უკანასკნელ წლებში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა მოსწავლეთა საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების საქმეში: ჯერ ერთი, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და დახმარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა კვების პროდუქტებით სასკოლო ობიექტების მომარაგება, მეორე, და რაც მთავარია, ბევრმა შეფმა ორგანიზაციამ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღსაზრდელთა უმრავლესობა უფასო კვებით უზრუნველყო. ამისათვის კვლავ ზუგდიდის რაიონის მაგალითს მივმართოთ: აქ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში ჩარიცხულ მოსწავლეთა თითქმის 80% შეფების ხარჯზე უფასო კვებაზეა გადაყვანილი. ზუგდიდელებს მიბაძეს ხობის, ქობულეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, კასპის, საგარეჯოს, ქობულეთის, ჩოხატაურის, ზესტაფონის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონებმა. გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლის სხვა მოსწავლეთა უფასო კვების საინტერესო ფორმაა დანერგილი ტყიბულის ზონის სკოლებში, სადაც ოთხი რვაწლიანი, ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლის ყველა მოსწავლე უფასოდ იკვებება სპეცსახსრების ხარჯზე, ახალი სასწავლო წლიდან კი უფასო კვებაზე გადავა კიდევ ორი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლის ყველა მოსწავლე.

მოსახლეობის მოთხოვნილებების შესაბამისად ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებათა საფუძველზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში დღის რეჟიმის მოწესრიგებისათვის, რაც იმაში გამოიხატება, რომ სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა ყოველწლიურად კონკრეტულად უნდა შეისწავლონ გახანგრძლივებული დღის რეჟიმის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის რეჟიმი, მიიღონ ყველა ზომა მისი განხორციელების უზრუნველსაყოფად




მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით იმგვარად, რომ გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის რეჟიმში აგებულ იქნეს მოცემული ტერიტორიის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის შესაბამისად. ასევე აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ I-III კლასების მოსწავლეთათვის გახანგრძლივებული დღის ნაერთი მორიგე ჯგუფების ყოველდღიურად საღამოს 19-20 საათამდე მუშაობა, აგრეთვე მოაგვარონ შაბათობით და მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში მომუშავე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების შექმნის საკითხები. მორიგე ჯგუფების მუშაობაში აქტიურად ჩააბან დაწყებითი კლასების ის მოსწავლეები, რომლებიც განათვისუფლებული არიან ფიზკულტურისა და სიმღერის გაკვეთილებისაგან.

დღეისათვის რესპუბლიკის სკოლებში გახანგრძლივებული რეჟიმით მუშაობს 321 ჯგუფი 9303 მოსწავლით, ამ მიმართებით მუშაობა კვლავ გრძელდება.

დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად წარმართავს მუშაობას ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის გახანგრძლივებული დღის სკოლის პედაგოგიური კოლექტივი (ამხ. გ. გიგლემიანი). ამ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი ბავშვთა სწავლა-აღზრდისა და დასვენებისათვის, აქ მარტო რეჟიმით გათვალისწინებულ საკითხებს როდი ექცევა ყურადღება. გაკვეთილებიდან თავისუფალი დრო გამოყენებულია ბავშვთა დამოუკიდებელი მუშაობის, მათი ინტერესების მიხედვით შემოქმედებითი საქმიანობის (სექციური, საწრეო, საკლუბო და სხვა) განვითარებისათვის, რასაც აღმზრდელთა, კლასის ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა და სკოლის დირექციის მხრივ ამ საქმეზე კომპეტენტური ხელმძღვანელობა განაპირობებს.

კარგად არის მოწყობილი დღის ძილი და ცხელი კერძებით უფასო ორჯერადი კვება 240 აღსაზრდელისათვის, რომელსაც უზრუნველყოფს შეფი — სოფელ ინგირის კოლმეურნეობა (ამხ. ბ. ქარჩავა), რომელიც ამისათვის ყოველწლიურად 21 ათას მანეთს ხარჯავს. სკოლა უზრუნველყოფილია 200 ადგილიანი კვების ბლოკით. სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით, საჭირო ინვენტარით, აქვე გახსნილია სამუსიკო შვიდწლელი, აქტიურად მუშაობს მეოჯახეობის წრე, ბავშვებზე ასეთი ზრუნვა კი კოლმეურნე მშობლების შრომის ნაყოფიერებაზე დადებითად მოქმედებს, რამაც ავტორიტეტი მოუპოვა გახანგრძლივებული დღის სკოლას.

დათვლიერებამ გვიჩვენა, რომ შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის (ამხ. ა. სანდუხაძე) პედაგოგიურმა კოლექტივმა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობაში. ამ სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მო-



სწავლეთათვის ცალკე შენობაშია მოწყობილი დასასვენებელი დასაძინებელი და გასართობი ოთახები, ცალკე აქვთ ოთახი თვითმკურნალებისათვის, სადაც გამოფენილია მოსწავლეთა ხელით წარმოებული დამზადებული სათამაშოები და სხვა სახის ნაკეთობები. სკოლას დიდ დახმარებას უწევს საბაზო ელექტროტექნიკური ქარხანა (ამხ. ა. მურღულია), რომელმაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთათვის საკმაო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარი (საწოლები, ლიებები, თეთრეული და სხვა) შეიძინა, სისტემატურად ავსებს გასართობ ოთახს სათამაშოებით, კონსტრუქტორებით, ყოველწლიურად ატარებს სკოლის რემონტს, აკონტროლებს გათბობის სისტემას და უფასოდ კვებავს გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღსაზრდელებს. მე-2 საშუალო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღსაზრდელთა თვითშემოქმედებას, წრეობრივ, სექციურ, სტუდიების მუშაობას და სხვა.

უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობის შედეგად თბილისის გახანგრძლივებული დღის სკოლებს შორის კარგად წარმართავენ მუშაობას 169-ე გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის (ამხ. ლ. ყანდაშვილი) პედაგოგიური კოლექტივის წევრები. ამ სკოლაში 21 გახანგრძლივებული დღის ჯგუფია, რომლებშიც გაერთიანებულია I-VIII კლასების 630 მოსწავლე. სკოლის საშუალო და საბაზო ორგანიზაციები — ი. ჭავჭავაძის სახელობის წიგნის ფაბრიკა (ამხ. ჯ. ხაჭაპურიძე), „პროვენტიაციის“ სამმართველო (ამხ. ო. მეტრეველი) და გაერთიანება „თბილინდკერვა“ (ამხ. დ. რუხავა) ყოველწლიურად ზრუნავენ მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებისა და თავისუფალი დროის ორგანიზაციისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად. ისინი სკოლას ყოველწლიურად უკეთებენ მიმდინარე რემონტს, საჭირო შემთხვევაში ახდენენ სასკოლო ინვენტარის, ტექნიკური საშუალებებისა და თვალსაჩინოების განახლებას, ამარაგებენ სკოლას რბილი ინვენტარითა და სხვა.

169-ე საშუალო სკოლაში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებისათვის ყველა პირობაა შექმნილი სწავლისა და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებისათვის. აღსაზრდელთათვის სკოლაში ჩამოყალიბებულია წრეები, სექციები და სხვა გაერთიანებები; სკოლაში მუშაობს საცურაო აუზი, რაც საშუალებას აძლევს სკოლის თითქმის ყველა მოსწავლეს დაეუფლოს ცურვას. ნაყოფიერად მუშაობს სკოლის მუსიკალური სტუდია, მეოჯახეობის წრეები და სხვა. მიზანშეწონილად არის გამოყენებული აღსაზრდელთა თავისუფალი დრო, ორგანიზებულად ტარდება ფიზკულტურულ-სპორტული, შრომითი და დასვენების ღონისძიებანი, სათანადო მუშაობას ატარებენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელები საგნის მასწავლებ-

ლებთან ერთად მოსწავლეთა საშინაო დაეაღებების შესრულების ქმეში.

აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის სოფლების კახათის, რუხისა და კობულეთის რაიონის სოფელ ქვედა სამების გახანგრძლივებული დღის სკოლების, ქ. თბილისის მე-2, 23-ე, 41-ე, 72-ე, 130-ე, 147-ე, 155-ე, 182-ე, ქ. ქუთაისის მე-4, მე-8, მე-11, მე-12, 29-ე, 32-ე, 35-ე, ქ. ბათუმის მე-13, 28-ე, ქ. გორის მე-3, ფოთის მე-7, აბაშის 1-ლი, საგარეჯოს მე-4, სამტრედიის 1-ლი, წულუკიძის 1-ლი, წყალტუბოს, ზონის 1-ლი, მე-4, სოფლების გეგუთის, მუხიანის, მადლაკის, ტყიბულის ზონის სოფელ გურნის, ხობის რაიონის 1-ლი, სოფლების ჭალადულის, ნოჯიხეთის, ცავერის რაიონისა და სოფელ ბარდნალის, გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანოს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის, ზესტაფონის რაიონის სოფელ მე-2 სვირის 1-ლი საშუალო სკოლების გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ნაყოფიერი მუშაობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები: ნელი ტემპით ვითარდება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელი, რის შედეგადაც ამ სახის ჯგუფებში I-VIII კლასების მოსწავლეთა ჩაბმის მხრივ საქართველოს სსრ კავშირში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა (19,4%).

მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა, გახანგრძლივებული დღის სკოლები დღემდე ვერ გაიხსნა ქ. თბილისის საბურთალოს, ოქტომბრისა და კიროვის რაიონებში; ქალაქებში: ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, ცხინვალში, თელავსა და გორში.

ძალზე მცირე რაოდენობით არის გახანგრძლივებული დღის ჯგუფები გახსნილი ახალქალაქის (1), ქედის (3), ბოგდანოვკის (6), ქარელის (6), მარნეულის (10), ადიგენის (12) რაიონებში, დღემდე არც ერთი ასეთი ჯგუფი არ გახსნილა შუახევისა და ყაზბეგის რაიონებში.

კვლავ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მატერიალური ბაზის შექმნისა და განმტკიცების საქმეში, რის გამოც ვერ ხერხდება ასეთი ტიპის დაწესებულებებით მოსახლეობის მოთხოვნათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის სკოლების დიდ ნაწილში, ასევე ქალაქების თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ქუთაისის, ზუგდიდის, თელავისა და გორის საშუალო და რვა-



წლიან სკოლებში სუსტი მატერიალური ბაზის გამო არ ეწყობა დღის ძილი, არ არის დასასვენებელი და სათამაშო გასართობი მოწყობები, რაც უარყოფითად მოქმედებს აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე, აღსაზრდელებთან მუშაობა მთელი დღის განმავლობაში ერთ საკლასო ოთახში მიმდინარეობს, რაც იწვევს ბავშვების გონებრივ და ფიზიკურ გადაღლას და ხელს უწყობს ბავშვთა სხვადასხვა დაავადებების ზრდას. აღნიშნულ პრობლემათა გადაუჭრელობას განაპირობებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტით გადატვირთვა. ასე მაგალითად, ქ. თბილისის 186-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლიდან 41 მუშაობს ერთ ცვლაში, 135 — ორ ცვლაში, 10 — სამ ცვლაში. დიდია ისეთ სკოლათა რიცხვი, სადაც მინიმალური პირობებიც არ არის შექმნილი გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისათვის (25-ე, 27-ე, 29-ე, 46-ე, 51-ე, 69-ე, მე-100, 116-ე, 123-ე და სხვა სკოლები), ხოლო გახანგრძლივებული 88-ე, 165-ე, 166-ე, 167-ე, 168-ე დღის სკოლები, მატერიალური ბაზის თვალსაზრისით, ნაწილობრივაც ვერ აკმაყოფილებენ გახანგრძლივებული დღის სკოლის მუშაობისათვის საჭირო თანამედროვე მოთხოვნებს.

აბასთანადო მატერიალური ბაზის უქონლობით არის გამოწვეული ის, რომ ქ. თბილისის 787 გახანგრძლივებული დღის ჯგუფიდან, მხოლოდ 15-ს აქვს საძინებელი, 65-ს სათამაშო და გასართობი ოთახები. თუმცა აღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის რეალურ შესაძლებლობებს ვერც პერსპექტივაში ვხედავთ, რადგან ტიპური სკოლის პროექტში, რომლის მიხედვითაც დღეისათვის მიმდინარეობს რესპუბლიკის სკოლების მშენებლობა, არ არის გათვალისწინებული ამ ჯგუფების მუშაობისათვის საჭირო სათავსოები. დახვეწას და სრულყოფას საჭიროებს გახანგრძლივებული დღის სკოლის ტიპური პროექტი.

მიუხედავად ზემდგომი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რიგ ქალაქებსა და რაიონებში (ასპინძა, ვარდაბანი, ორჯონიკიძე, თეთრი წყარო, წულუკიძე, ახალციხე, ჩოხატაური, ადიგენი, ჭიათურა, მესტია, ლენტეხი, დუშეთი და სხვა) არასაკმარისია შეფი და საბაზო ორგანიზაციების დახმარება გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფებისადმი მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

ნაკლოვანებები ახლავს აღმზრდელობით მუშაობას გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში (ასპინძის, მცხეთის, თელავის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ბორჯომის, ქ. გორის, გეგეჭკორის, სამხრეთ ოსეთის ა/ო, გორის, ვარდაბნის, თეთრი წყაროს, ახალციხისა და სხვა რაიონებში), როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ახალგაზრდობის ზოგადი საშუალო განათლების შემდგომი სრულყოფისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესების შესახებ“ არის ნათ-



ქვაში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ ტიპის სკოლებსა და ჯგუფებში ბავშვთა სისტემატური მეცადინეობა (მათი ინტერესების აღზრდის მიზნებით) ტექნიკურ და მხატვრულ შემოქმედებაში, სასოფლო-სამეურნეო ცდების დაყენებაში, სპორტსა და ტურიზმში, მხარეთმცოდნეობის წრეებსა და სხვა სახის მეცადინეობებში, ასეთივე მოთხოვნას გვიყენებს კანონი სასკოლო რეფორმის შესახებ.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები საქმალ ვერ იყენებენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდისა და ფიზიკური განვითარების ერთიანი უზრუნველყოფის შესაძლებლობებს. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელები თავიანთ მუშაობაში ძირითადად იფარგლებიან მოსწავლეების მიერ საშინაო დავალების შესრულებით, არ ხდება თავისუფალი დროის გამოყენება აღსაზრდელთა ინტერესების შესაბამისად. არ ტარდება კონსულტაციები ცალკეულ საგნებში, არ ხდება აღმზრდელებისა და საგნის მოსწავლეების ურთიერთდასწრება, აღმზრდელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადება. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციის საქმეში სათანადოდ არ არის გამოყენებული მშობელთა და პროფკავშირული კომიტეტები. ჯგუფების მუშაობის ორგანიზაციაში სუსტად არიან ჩაბმული სკოლისგარეშე, კულტურულ-აღმზრდელობითი, სპორტული დაწესებულებები, მიკრორაიონის პედაგოგ-ორგანიზატორები.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ნაკლებად ან საერთოდ არ ზრუნავენ იმაზე, რომ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში სამუშაოდ მოწვეულ იქნენ შემოქმედი სპეციალისტები, აღმზრდელთა კადრები, თანმიმდევრულად არ ტარდება არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი.

მუშენლებელ ყურადღებას მოითხოვს აღსაზრდელთა საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესება, ღარიბთა ასორტიმენტი, დაბალია კვების პროდუქტთა ხარისხი, ერთფეროვანია კერძები; ხშირად აღსაზრდელები ერთჯერადი ცხელი კერძებითაც კი არ არიან უზრუნველყოფილი, ისინი ან მხოლოდ ბუფეტისათვის განკუთვნილი პროდუქტებით კმაყოფილდებიან, ან კიდევ ოჯახში მიდიან სადილად და ისევ სკოლაში ბრუნდებიან (ასპინძის, წალენჯიხის, ადიგენის, მარნეულის, გარდაბნის, წითელწყაროს, ბოლნისის, თეთრი წყაროს, მცხეთის, თელავისა და სხვა რაიონები).

სკოლები ნაკლებად მარაგდებიან ხილით, ბოსტნეულით, თევზით, ზორციით, ყველით, კარტოფილით, რძით და რძის პროდუქტებით. ღარიბთა წევნების ასორტიმენტი, არ შემოაქვთ ასკილის, მანდარინის, ყურძნის წვენები, იშვიათად შემოაქვთ სასალათე ბოსტნეული და თუ შემოაქვთ ისიც უხარისხო, სკოლები მცირე რაოდენობით მარაგდება



სოსისით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უხარისხოა. უხარისხობაზე
 ბაზო სასადილოებიდან მიღებული ნახევარფაბრიკატები, ამათგან
 ზად საბაზო სასადილოებისა და სასკოლო კვების კომბინატების ხელ-
 მძღვანელები ასახელებენ დაბალი კონდიციის ხორციით მომარაგებას,
 საბოლოო ჯამში კი ბავშვებს არ ეძლევათ ყუთიანი, მაღალკალორი-
 ული საკვები. დათვალეობამ ისიც გვიჩვენა, რომ ხშირად კვების
 პროდუქტები ადვილზე სპეცმანქანით კი არ მიაქვთ, არამედ მნეს ან
 თვით აღმზრდელს შემოაქვს რაიონის ცენტრიდან ტაქსით ან სხვა
 გამველელი მანქანით, ისიც საკუთარი ხარჯებითა და ყოველგვარი სანი-
 ტარიული ნორმების დარღვევით.

ნაკლოვანებებია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუ-
 ფების საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით, ტექნიკური დანადგარები-
 თა და სათამაშოებით მომარაგების საქმეში. ბევრ სკოლაში ტელევი-
 ზორიც არ აქვთ გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღსაზრდელთათვის.
 რესპუბლიკის რაიონების უმრავლეს სკოლას არ გააჩნია გამდინარე,
 ცივი და ცხელი წყალი. არის შემთხვევები, როცა სკოლებში საერთოდ
 არ არის წყალი და მას შორი მანძილიდან ეზიდებიან.

ხარვეზებია გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების
 სამედიცინო მომსახურების სფეროში, სუსტია მედპერსონალის რო-
 ლი სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, კვების პრო-
 დუქტებზე კონტროლის დაწესებისა და სუსტი ჯანმრთელობის მქონე
 ბავშვების გამოვლენის აღრიცხვისა და მათთვის გამაჯანსაღებელი მუ-
 შაობის წარმართვის საქმეში. ამ მიმართებით ნაკლებადაა გამოყენე-
 ბული სპორტული მოედნები, არადამაკმაყოფილებელია გამაჯანსაღე-
 ბელი ვარჯიშების ჩატარების ორგანიზაცია. დღემდე არც ბავშვთა
 დიეტური კვების საკითხია მოგვარებული.

გადაუჭრელ პრობლემადაა ქცეული კვალიფიციურ აღმზრდელთა
 მომზადების საკითხი. რესპუბლიკის არც ერთი პედაგოგიური სასწავ-
 ლებელი არ ამზადებს სასკოლო ინტერნატების, სკოლა-ინტერნატები-
 სა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის აღმზრდელთა სპე-
 ციალურ კადრებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აღმზრდელთა კადრების
 შერჩევის, დანიშვნისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, მათი უმ-
 რავლესობა ასაკითაც და ცოდნითაც არ შეესაბამება ახალი ადამიანის
 ფორმირების თანამედროვე მოთხოვნებს. დღემდე ვერ დაინერგა გა-
 ხანგრძლივებული დღის ჯგუფებში სპეციალისტების მოწვევისა და
 მათი დამაგრების მეტად საჭირო პრაქტიკა.

გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობაში
 არსებული ნაკლოვანებები იმითაც აიხსნება, რომ სახალხო განათლე-
 ბის ადგილობრივი ორგანოები, საშეფო და საბაზო ორგანიზაციები,
 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არა-



საკმარისად მუშაობენ ამ მიმართებით; მათი გარკვეული ხაზილი
 თონ ვერ ერკვევა ამ პრობლემების არსში, კვალიფიციურად ვერ აკო-
 ტროლებენ აღმზრდელთა მუშაობას და, ბუნებრივია, საჭირო დახმა-
 რებას ვერ უწევენ მათ, ხშირად ზერეღედ იხილავენ საკითხებს, ვერ
 ხსნიან ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მიღებული დადგენი-
 ლების შეუსრულებლობაზე პასუხს არავის თხოვენ.

ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი უყურადღებობისა და
 უპასუხისმგებლობის გამოვლინებაა ის ფაქტიც, რომ დათვალიერების
 შედეგები რესპუბლიკური კომისიისათვის საერთოდ არ გამოუგზავ-
 ნიათ აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, ქ. მარნეულის, ახალ-
 ქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, ქარელის, ლაგოდეხის,
 ლენტეხის, მარნეულის, მახარაძის, საჩხერის, სიღნაღის, თელავის,
 თიანეთის, ხაშურის, წალკისა და ჩხოროწყუს რაიონების ადგილობრივ
 კომისიებს, ხოლო დიდი დაგვიანებით წარმოადგინეს მასალები აჭა-
 რის ასსრ განათლების სამინისტრომ, ქ. ჭიათურის, ახმეტის, დუშეთის,
 რაიონებმა და წყალტუბოს ზონამ.

**საორგანიზაციო-საინსპექტორო მუშაობის
 სამმართველო**



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის
შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესის ტიპური დებულების შესაბამისად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს და 1986 წლის 1 ივლისიდან მოქმედებაში შევიდეს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებული (№ 1075/02 11. 05. 86 წ.) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა ახალი შრომის შინაგანაწესი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელებმა ახალი, 1986—1987 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შეიმუშაონ და დაამტკიცონ შრომის შინაგანაწესი, აღნიშნული შრომის შინაგანაწესის შესაბამისად.

საფუძველი: სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1985 წლის 23 დეკემბრის ბრძანება № 223.

მინისტრი ნ. შ. ვასაძე



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
ტროს მიერ განათლების, უმაღლესი სწავლების
ლისა და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ
კომიტეტთან შეთანხმებით
(ბრძანება № 1075/02 11. 05. 86 წელი)

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა
შრომის შინაგანაწესი**


I. ზოგადი დებულებანი

1. სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება. სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სსარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას.

სოციალისტური შრომის დისციპლინა არა მარტო შრომის შინაგანაწესის მტკიცედ დაცვას, არამედ შრომისადმი შეგნებულ, შემოქმედებით დამოკიდებულებას, მისი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფასა და სამუშაო დროის მწარმოებლურ გამოყენებასაც გულისხმობს.

შრომის დისციპლინას უზრუნველყოფს ნორმალური მაღალმწარმოებლური მუშაობისათვის აუცილებელი ორგანიზაციული და ეკონომიკური პირობების შექმნა, თითოეული მუშაკის მოვალეობათა სფეროს ზუსტად განსაზღვრა და მათი შესრულებისადმი ეფექტური კონტროლის დაწესება, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, დაწესებულებისა და აღზრდის მეთოდების გამოყენება და აგრეთვე წახალისება კეთილსინდისიერი შრომისათვის. შრომის დისციპლინის დამორღვევა მიმართ იყენებენ დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს.

სოციალისტური შრომის დისციპლინის აღზრდისა და განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მუშაობაში წარმოადგენს უფლებათა ეფექტური გამოყენება, რომელიც შრომითს კოლექტივებს მიენიჭათ სსრ კავშირის კანონით „შრომითი კოლექტივების და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“.



2. შრომის შინაგანაწესის მიზანია ხელი შეუწყოს მუშაკთა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდას. შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, მეცნიერულ საფუძველზე შრომის ორგანიზაციას, სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებას, სამუშაოთა მაღალ ხარისხს.

3. ეს შრომის შინაგანაწესი ვრცელდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე (დაწყებითი, არასრული საშუალო, საშუალო სკოლები, მათ შორის ცალკეული საგნების გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების; გახანგრძლივებული დღის სკოლები, დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლები და მომუშავე ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლები, ყველა ტიპისა და დასახელების სკოლანტერნატები, სანატორიულ-სატყეო სკოლები, სპეციალური სკოლები).

4. ამ შრომის შინაგანაწესის საფუძველზე სკოლის შრომითი კოლექტივი, ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის წარდგინებით, ამტკიცებს მოცემული სკოლის მუშაობის პირობების შესაბამის შრომის შინაგანაწესს.

5. შრომის შინაგანაწესის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები წყდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ. მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, ხოლო მოქმედი კანონმდებლობითა და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში — პროფკავშირის კომიტეტთან ერთობლივად ან მასთან შეთანხმებით. ამ საკითხების გადაწყვეტა აგრეთვე ხდება შრომითი კოლექტივის მიერ მისი უფლებამოსილების შესაბამისად.

II. მუშაკთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესი

6. მუშაკები შრომის უფლების რეალიზებას ახდენენ მოცემულ სკოლაში მუშაობის შესახებ შრომითი ხელშეკრულების დადებით.

7. სამუშაოზე მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მისაღებ პირს მოსთხოვოს:

ა) დადგენილი წესით გაფორმებული შრომის წიგნაკის წარმოდგენა, ხოლო თუ ეს პირი მუშაობას პირველად იწყებს, ცნობა უკანასკნელი საქმიანობის შესახებ, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამისი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, სახალხო დეპუტატთა სასოფლო ან სადაბო საბჭოს, ქუჩის კომიტეტის მიერ (ქუჩის კომიტეტის მიერ გაცემული ცნობა დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ), ხოლო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნილ პირებს კი — სამხედრო ბილეთი;



ბ) პასპორტის წარმოდგენა პასპორტების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

სამუშაოზე მიღება ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე დაუშვებელია.

პირები, რომლებსაც სამუშაოზე მიღებისას სპეციალური ცოდნა მოეთხოვებათ (პედაგოგიური, სამედიცინო დარგის მუშაკები, ბიბლიოთეკარები, მძღოლები და სხვ.), ვალდებული არიან წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტები განათლების ან პროფესიული მომზადების შესახებ.

ადმინისტრაციის მიერ დამოწმებული დიპლომის, ატესტატისა და მოწმობის ასლები პირად საქმეში რჩება.

აკრძალულია სამუშაოზე მისაღები პირისაგან კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი დოკუმენტების მოთხოვნა.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს, სამუშაოზე მიიღებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვთ დაწესებული ნიმუშის მომართვა ან სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ მათ შესაძლებლობა მიეცათ დამოუკიდებლად მოეწყონ სამუშაოზე.

პირები, რომლებიც მუშაობას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იწყებენ (გარდა დასწრებულ-დაუსწრებელი და დაუსწრებელი სკოლებისა), ვალდებული არიან აგრეთვე წარმოადგინონ სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ არ აქვთ უკუჩვენებები საბავშვო დაწესებულებაში მუშაობისათვის.

პედაგოგიურ მუშაკთა სამუშაოზე მიღება ფორმდება სკოლის ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილების ბრძანებით, რომელსაც მუშაკთა მიღება-დათხოვნის უფლება აქვს.

სკოლაში სამუშაოდ მიღებული ყველა მუშაკის (მათ შორის სახალხო განათლების განყოფილების მიერ დანიშნული მუშაკები) შესახებ სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას მისი მიღების თაობაზე.

ბრძანებას მუშაკი ხელწერილქვეშ ეცნობა. ბრძანებაში უნდა აღინიშნოს თანამდებობა სამუშაოთა და მუშათა პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის, მოსამსახურეთა თანამდებობების საკვალიფიკაციო ცნობარის ან სამტატო განრიგის შესაბამისად და შრომის ანაზღაურების პირობები.

თუ მუშაკი სამუშაოზე ფაქტობრივად დამკვიდრებულია შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ ეს უკვე შრომის ხელშეკრულების დადებას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა მუშაკის მიღება სათანადოდ გაფორმებული.

8. მუშაკის მიღებისას ან სხვა სამუშაოზე დადგენილი წესით მისი გადაყვანისას სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) გააცნოს მას მინდობილი სამუშაო, შრომისა და შრომის ანაზღაურების პირობები, განუმარტოს მისი უფლება-მოვალეობანი თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად;

ბ) გააცნოს მას შრომის შინაგანაწესი;

გ) ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ჰიგიენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საკითხების გარშემო დადგენილი ნიმუშის ყურნალში ინსტრუქტაჟის სათანადო გაფორმებით.

9. ყველა მუშა-მოსამსახურეზე, რომელმაც 5 დღეზე მეტი იმუშავა, ივსება შრომის წიგნაკი საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების წესების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

შეთავსებით მომუშავეთა შრომის წიგნაკების შევსება ხდება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით.

სკოლის დირექტორის შრომის წიგნაკი რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში (სამმართველოში) ინახება, ხოლო დანარჩენი მუშაკებისა — სკოლაში, როგორც მკაცრი ანგარიშგების ბლანკები.

10. თითოეულ პედაგოგიურ მუშაკზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც ინახება კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, განათლების შესახებ დოკუმენტის ასლი, ატესტაციის შედეგების შესახებ მასალების ასლი, სამედიცინო დასკვნა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ არ აქვს უკუჩვენებები საბავშვო დაწესებულებაში მუშაობისათვის, სამუშაოზე დანიშვნის, გადაყვანის, წახალისებისა და განთავისუფლების შესახებ ბრძანებათა ასლები.

სკოლის ხელმძღვანელის პირადი საქმე რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებაში (სამმართველოში) ინახება, ხოლო დანარჩენი მუშაკებისა — სკოლაში.

მუშაკის განთავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე შესაბამის სახალხო განათლების განყოფილებაში (სამმართველოში) ან სკოლაში ინახება.

11. შრომის ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველზე.

მუშაკებს უფლება აქვთ მოშალონ განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომის ხელშეკრულება, მაგრამ ამის შესახებ წერილობით უნ-



და გააფრთხილონ ადმინისტრაცია ორი თვით ადრე. მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საბატიო მიზნებით შრომის შეკრულების მოშლის შემთხვევაში მუშაკებმა ამის შესახებ წერილობით უნდა გააფრთხილონ ადმინისტრაცია ერთი თვით ადრე.

გაფრთხილების აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მუშაკს უფლება აქვს შეწყვიტოს მუშაობა, ხოლო სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მისცეს მას შრომის წიგნაკი და ანგარიში გაუსწოროს.

მუშაკისა და ადმინისტრაციის შეთანხმებით შრომის ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს განთავისუფლების შესახებ გასაფრთხილებელი ვადის გასვლამდეც.

ვალიანი შრომის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა შესაძლებელია მუშაკის მოთხოვნით მისი ავადმყოფობის ან ინვალიდობის გამო, რაც აბრკოლებს ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოს შესრულებას, აგრეთვე ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ან სხვა საბატიო მიზეზების გამო.

ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების მოშლა დაუშვებელია პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

შრომის ხელშეკრულების მოშლა ფორმდება სკოლის ბრძანებით, ხოლო პედაგოგიურ მუშაკთა მიმართ — შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილების (სამმართველოს) ბრძანებით, სკოლაში მისი მომდევნო დუბლირებით.

სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილეების სამუშაოდან განთავისუფლება შეუძლია იმ ორგანოს, რომელმაც ისინი დანიშნა, ან სახალხო განათლების ზემდგომ ორგანოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. პედაგოგიურ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნა ატესტაციის შედეგების მიხედვით, აგრეთვე სკოლის გაუქმების, მუშაკთა რაოდენობისა ან შტატების შემცირების შემთხვევაში დასაშვებია, თუკი შეუძლებელი ხდება მუშაკის თანხმობით მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანა.

პედაგოგიურ მუშაკთა განთავისუფლება სამუშაოს (სასწავლო დატვირთვის) მოცულობის შემცირებასთან დაკავშირებით შეიძლება მხოლოდ სასწავლო წლის დამთავრებისას.

13. სკოლის ადმინისტრაცია ან რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება (სამმართველო) ვალდებულია მუშაკს შრომის წიგნაკი მისცეს დათხოვნის დღეს, ჩაუწეროს სამუშაოდან განთავისუფლების მიზეზი და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. ჩანაწერი სამუშაოდან განთავისუფლების მიზეზის შესახებ შრომის წიგნაკში უნდა გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით და მითითებული იქნეს კანონის შესაბამისი მუხლი, პუნქტი.

III. მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი

14. სკოლის მუშაკები ვალდებული არიან:

ა) იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, ზუსტად შეასრულონ სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით, შრომის შინაგანაწესით, დებულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მათზე დაკისრებული მოვალეობანი;

ბ) დაიცვან შრომის დისციპლინა, როგორც სკოლაში წესრიგის საფუძველი, თავისდროულად მოვიდნენ სამუშაოზე, დაიცვან სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობა და მაქსიმალურად გამოიყენონ იგი მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შემოქმედებითი და ეფექტიანი შესრულებისათვის, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისაგან, რომელიც ხელს უშლის სხვა მუშაკებს თავიანთი შრომითი მოვალეობების შესრულებაში; დროულად და ზუსტად შეასრულონ ადმინისტრაციის განკარგულებანი;

გ) ყოველმხრივ ისწრაფვოდნენ შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის ასამაღლებლად, არ დაუშვან დაუდევრობა, მტკიცედ დაიცვან სამემსრულებლო დისციპლინა, მუდმივად გამოავლინონ შემოქმედებითი ინიციატივა შრომითი საქმიანობის მაღალი შედეგების მისაღწევად;

დ) დაიცვან შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის, საწარმოო საინტარისის, ჰიგიენისა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოთხოვნები. მუშაობდნენ სპეცტანსაცმლითა და სპეცფეხსაცმლით, სარგებლობდნენ ინდივიდუალური დაცვის აუცილებელი საშუალებებით;

ე) იყვნენ ყოველთვის ყურადღებიანი ბავშვების მიმართ, ზრდილობიანი მოსწავლეთა მშობლებთან და კოლექტივის წევრებთან;

ვ) სისტემატურად იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-თეორიულ და კულტურულ დონეს, საქმიან კვალიფიკაციას;

ზ) წარმოადგენდნენ ღირსეული ქცევისა და მაღალი მორალური მოვალეობის მაგალითს სამუშაოზე, ყოფა-ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ადგილებში, დაიცვან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები;

თ) სისუფთავესა და წესრიგში იქონიონ თავიანთი სამუშაო ადგილი, დაიცვან მატერიალურ ფასეულობათა და დოკუმენტების შენახვის დადგენილი წესი;

ი) გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ სოციალისტური საკუთრება (მოწყობილობა, ინვენტარი, სასწავლო ხელსაწყოები და ა. შ.), ეკონომიურად ხარჯონ მასალები, სათბობი და ელექტროენერგია; აღზარდონ მოსწავლეებში (აღსაზრდელებში) სახელმწიფო ქონებისადმი სათუთი დამოკიდებულება;

ქ) დადგენილ ვადებში გაიარონ პერიოდული სამედიცინო შემოწმება სამედიცინო შემოწმების ჩატარების შესახებ არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

სკოლის პედაგოგიური მუშაკები სრული პასუხისმგებელი არიან ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი გაკვეთილების (მეცადინეობების), აგრეთვე სკოლის მიერ ორგანიზებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებების ჩატარებისას.

15. დადგენილი წესით სკოლის დირექტორის ბრძანებით სასწავლო საქმიანობაზე დამატებით მასწავლებლებს შეიძლება დაეკისროთ კლასის ხელმძღვანელობა, სასწავლო კაბინეტების, სასწავლო-საცდელი ნაკვეთების გამგეობა, სასწავლო სახელოსნოების ოსტატის მოვალეობათა შესრულება. შრომითი სწავლების, პროფესიული ორიენტაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო, მწარმოებლური შრომის ორგანიზაცია, აგრეთვე სხვა სასწავლო-აღმზრდელი ფუნქციების შესრულება.

16. პედაგოგიური მუშაკები (მასწავლებლები, აღმზრდელები, უფროსი პიონერხელმძღვანელები) ხუთ წელიწადში ერთხელ ატესტაციას გადაიან პედაგოგიური კადრების ატესტაციის შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

17. სკოლის მუშაკებს უფლება აქვთ შეითავსონ სამუშაო პროფესიისა და თანამდებობის მიხედვით სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებების იმ მუშაკთა პროფესიებისა და თანამდებობების ნუსხის თანახმად, რომლებსაც შეიძლება დაუწესდეთ დანამატები პროფესიების (თანამდებობების) შეთავსების, მომსახურების ზონის გაფართოების ან შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გაზრდის გამო.

ნებართვას პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებაზე იძლევა ადმინისტრაცია სკოლის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

18. სკოლების სამედიცინო მომსახურებას ახორციელებენ ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი დაწესებულებანი.

მედიცინის მუშაკთა მოვალეობანი განსაზღვრულია შესაბამისი ინსტრუქციებითა და დებულებებით.

19. პედაგოგიურ მუშაკთა, სასწავლო-აღმზრდელი და მომსახურე პერსონალის ძირითად მოვალეობათა (სამუშაოთა) სფერო განსაზღვრულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით, შრომის შინაგანაწესით, მოსამსახურეთა თანამდებობების, საკვალიფიკაციო ცნობარით, სამუშაოთა და მუშათა პროფესიების ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარით, დებულებებით შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესახებ და აგრეთვე დადგენილ წესით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და დებულებებით.



20. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სკოლის მუშაკთა მიერ სამუშაო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებითა და შრომის შინაგანაწესით მათზე დაკისრებულ მოვალეობათა დაცვა;

ბ) სწორად მოაწყოს სკოლის მუშაკთა შრომა მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, თითოეულ მუშაკზე მიამაგროს განსაზღვრული სამუშაო ადგილი, უზრუნველყოს მოწყობილობის წესიერულობა, შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები;

გ) უზრუნველყოს შრომისა და საწარმოო დისციპლინის მტკიცედ დაცვა. რისთვისაც მუდმივად განახორციელოს მის განსამტკიცებლად მიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მუშაობა, არ დაუშვას სამუშაო დროის დანაკარგები, უზრუნველყოს შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, სტაბილური შრომითი კოლექტივების ჩამოყალიბება, სკოლის მუშაობისათვის საკეთილდღეო პირობების შექმნა; თავისდროულად გამოიყენოს ზემოქმედების ღონისძიებები შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით;

დ) არ დაუშვას სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებული მუშაკი თავის მოვალეობათა შესასრულებლად მოცემულ სამუშაო დღეს და გაატაროს მის მიმართ შესაბამისი ზომები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

ე) სრულყოს სასწავლო-ადმინისტრაციული პროცესი, შექმნას პირობები შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დასანერგად, განახორციელოს ღონისძიებანი მუშაობის ხარისხისა და შრომის კულტურის ასამაღლებლად; მოაწყოს მოცემული და სხვა სკოლების შრომითი კოლექტივების მუშაკთა მოწინავე გამოცდილების შესწავლა, გავრცელება და დანერგვა;

ვ) უზრუნველყოს სკოლის მუშაკთა მიერ იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება; ჩაატაროს დადგენილ ვადებში პედაგოგიურ მუშაკთა ატესტაცია, შექმნას აუცილებელი პირობები მუშაობის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლასთან შეთავსებისათვის;

ზ) მიიღოს ზომები აუცილებელი მოწყობილობით, სასწავლო ხელსაწყოებითა და სამეურნეო ინვენტარით სკოლების დროული უზრუნველყოფისათვის;

თ) განუხრელად დაიცავს შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესები, გააუმჯობესოს მუშაობის პირობები;

ი) შექმნას მოსწავლეთა და სკოლის მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის პირობები, გამაფრთხილებელი ზომებით აარიდოს ისინი დაავადებასა და ტრავმატიზმს, გაა-

კონტროლოს მუშაკთა მიერ უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანაწარმოსა და ჰიგიენის ინსტრუქციის ყველა მოთხოვნისა და ხანძარი-საფრთხილის საწინააღმდეგო წესების ცოდნა და დაცვა;

კ) უზრუნველყოს სკოლის, თანამშრომელთა და მოსწავლეთა ქონების დაცვა;

ლ) უზრუნველყოს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა ცხელი კვება;

მ) გასცეს ხელფასი დადგენილ ვადებში, უზრუნველყოს სისტემატური კონტროლი მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობების დაცვისა და ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი;


ნ) ყურადღებით მოეკიდოს სკოლის მუშაკთა ყოველდღიურ საქმიანობებს, უზრუნველყოს მუშაკთათვის დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობების მიცემა, ხელი შეუწყოს მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

ო) განავითაროს სოციალისტური შეჯიბრება იმგვარად, რათა შექმნას მუშაობის ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების პირობები, თავისდროულად დააჯამოს სოცშეჯიბრების შედეგები და განსაზღვროს გამარჯვებულები, აამაღლოს შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების როლი, გადაწყვიტოს მოწინავე მუშაკთა წახალისების საკითხები;

პ) შეუქმნას შრომითი კოლექტივს აუცილებელი პირობები მის მიერ თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონით „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“, ხელი შეუწყოს შრომითი კოლექტივში საქმიანი და შემოქმედებითი განწყობილების შექმნას, ყოველმხრივ მხარი დაუჭიროს და განავითაროს მუშაკთა ინიციატივა და აქტივობა, უზრუნველყოს სკოლის მართვაში მათი მონაწილეობა, რისთვისაც სრულად გამოიყენოს შრომითი კოლექტივის კრებები, საწარმოო თათბირები და საზოგადოებრივი თვითმმართველების სხვადასხვა ფორმები; დროულად განიხილოს მუშაკთა კრიტიკული შენიშვნები და აცნობოს მათ მიღებული ზომების შესახებ.

21. სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი როგორც სკოლაში მათი ყოფნის, ასევე სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისას. ადმინისტრაცია ტრავმატიზმის თითოეული შემთხვევის შესახებ აცნობებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებას (სამმართველოს) დადგენილი წესით.

22. სკოლის ადმინისტრაცია თავის მოვალეობებს შენაბამის შემთხვევებში ანხორციელებს პროფკავშირის კომიტეტთან ერთობლივად ან მასთან შეთანხმებით და აგრეთვე შრომითი კოლექტივის უფლებამოსილების გათვალისწინებით.



23. სკოლებში დაწესებულია ექვსდღიანი სამუშაო კვირა დასვენების დღით.

სკოლაში მუშაობის დაწყებისა და დამთავრების დროს ადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ცვლიანობის რაოდენობისა და მიხედვით.

პედაგოგიურ მუშაკთა სამუშაო დრო განისაზღვრება სასწავლო ცხრილით და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებითა და შრომის შინაგანაწესით მათზე დაკისრებული თანამდებობრივი მოვალეობებით.

სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს სამუშაოზე გამოცხადებისა და სამუშაოდან წასვლის აღრიცხვა.

24. პედაგოგიურ მუშაკთა სასწავლო დატვირთვას ახალი სასწავლო წლისათვის ადგენს სკოლის დირექტორი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მუშაკთა შვებულებაში გასვლამდე.

ამასთან აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს:

ა) პედაგოგიურ მუშაკებს, როგორც წესი, უნდა შეუნარჩუნდეთ ის კლასები (ჯგუფები), რომლებსაც ისინი ასწავლიდნენ და სასწავლო დატვირთვის მოცულობა;

ბ) სასწავლო დატვირთვა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს განაკვეთნახევრის შესაბამისი საათების რაოდენობას. გამონაკლისს შემთხვევებში, ცალკეული საგნის მასწავლებელთა არასაკმარისი რაოდენობის დროს, მასწავლებლებს სასწავლო დატვირთვა შეიძლება გაუდიდდეთ შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილების ნებართვით და თვით მასწავლებლის თანხმობით;

გ) ახალგაზრდა სპეციალისტები უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნენ ისეთი სასწავლო დატვირთვით, რომ საათების რაოდენობა მათი ზეღფასის განაკვეთს შეესაბამებოდეს;

დ) მუშაკი შეიძლება გაკვეთილებით არასრულად დაიტვირთოს მხოლოდ მისი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

ე) პედაგოგიურ მუშაკთა სასწავლო დატვირთვის მოცულობა, როგორც წესი, სტაბილური უნდა იყოს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში;

სასწავლო დატვირთვის შემცირება შესაძლებელია სკოლაში მოსწავლეთა და კლასკომპლექტების რაოდენობის შემცირებისას ან იმავე ადგილმდებარეობაზე აშენებულ ახალ სკოლაში კლასკომპლექტების ნაწილის გადაყვანისას, აგრეთვე სხვა ცალკეულ გამონაკლისს შემთხვევებში.

პედაგოგიურ მუშაკთა სასწავლო დატვირთვას ახალი სასწავლო

წლისათვის სკოლის ადმინისტრაცია ამტკიცებს პროფკავშირის კომიტეტთან შრომითი კოლექტივის აზრის გათვალისწინებით.

25. გაკვეთილების ცხრილს ადგენს და ამტკიცებს ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, ამასთან ითვალისწინებს პედაგოგიური მიზანშეწონილობის, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და მასწავლებლის დროის მაქსიმალური ეკონომიის უზრუნველყოფას.

პედაგოგიურ მუშაკებს, სადაც ეს შესაძლებელია, ეძლევათ კვირაში ერთი თავისუფალი დღე მეთოდური მუშაობისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

26. მომსახურე პერსონალისა და მუშათა სამუშაო დროის ხანგრძლივობა განისაზღვრება ცვლიანობის გრაფიკით, რომელიც შედგენილია კვირის ან სხვა სააღრიცხვო პერიოდის მანძილზე სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობის დაცვით, და მტკიცდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

გრაფიკში აღნიშნულია მუშაობის საათები და შესვენებები დასვენებისა და კვებისათვის. დასვენებისა და საკვების მიღების წესსა და ადგილს განსაზღვრავს ადმინისტრაცია სკოლის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით.

ცვლიანობის გრაფიკს მუშაკები ხელწერილიქვეშ ეცნობიან. იგი, როგორც წესი, უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას არაუგვიანეს ერთი თვისა მოქმედებაში შესვლამდე.

ზოგიერთი კატეგორიის მუშაკთათვის (მაგალითად, ღამის ძიძა, სკოლის ცეცხლფარეში, სადაც გათბობის სისტემა სადღეღამისო მორიგეობას საჭიროებს) შესაძლებელია, პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით, დაწესდეს სამუშაო დროის შეკამებული აღრიცხვა. ამ კატეგორიის მუშაკთა სამუშაო გრაფიკში გათვალისწინებულია ყოველკვირეული უწყვეტი დასვენება არანაკლებ 42 საათის ხანგრძლივობით.

27. სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობა აკრძალულია.

სკოლის ცალკეულ მუშაკთა (მასწავლებლები, აღმზრდელები და სხვ.) სამორიგეოდ და სხვადასხვა სახის სამუშაოთა შესასრულებლად გამოყვანა დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში დასაშვებია კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლისს შემთხვევებში, სკოლის პროფკომიტეტთან შეთანხმებით და ადმინისტრაციის წერილობითი ბრძანებით.

დასვენების დღეები მორიგეობისა და დასვენების ან სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის მუშაკებს ეძლევათ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ან მუშაკის თანხმობით არდა-

დევების პერიოდში, ისე რომ ეს დღეები მორიგ შვებულებას არ ემთხვას.

აკრძალულია სამორიგეოდ და სხვადასხვა სახის სამუშაოთა შესასრულებლად დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში ორსული ქალებისა და დედების გამოყვანა, რომლებსაც 12 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

განუწყვეტლივ მომუშავე დაწესებულებების (ყველა ტიპისა და დასახლების სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები, სანატორიულ-სატყეო და სპეციალური სკოლები) მუშაკები და ის მუშაკები, რომლებისთვისაც დაწესებულია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა, სამუშაოზე გამოდიან საერთოდ დაწესებულ დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებშიც.

ამ დღეებში მუშაობის დრო, როგორც წესი, ითვლება სამუშაო დროის თვითნორმაში. დასვენების დღეები მათთვის გათვალისწინებულია მუშაობის გრაფიკით. სადღესასწაულო დღეებში მუშაობისათვის ხელფასის ანაზღაურება აღნიშნულ შემთხვევაში ხდება ერთმაგი საათობრივი ან დღიური განაკვეთის ოდენობით თვითნ ხელფასზე (განაკვეთზე) გადამეტებით. მუშაკს, რომელმაც სადღესასწაულო დღეს იმუშავა, მისი სურვილისამებრ დასვენების სხვა დღე მიეცემა.

28. განუწყვეტლივ მოქმედ სასწავლო-აღმზრდელით დაწესებულებათა მუშაკებს ეკრძალებათ სამუშაოს დატოვება შემცველი მუშაკის მოსვლამდე. შემცველის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მუშაკი ამის შესახებ ატყობინებს ადმინისტრაციას, რომელიც ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები მისი სხვა მუშაკით შესაცვლელად.

29. ადმინისტრაცია პედაგოგიურ მუშაკებს, მათ შორის სამხედრო ხელმძღვანელებსაც, სკოლის მორიგეებად იყენებს. მორიგეობა უნდა იწყებოდეს სკოლაში მეცადინეობათა დაწყებამდე 20 წუთით ადრე და გრძელდებოდეს არაუმეტეს 20 წუთისა გაკვეთილების დამთავრების შემდეგ. მორიგეობის ერთი თვის გრაფიკს ადგენს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით. გრაფიკი უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას.

30. საშემოდგომო, ზამთრისა და საგაზაფხულო არდადეგების, აგრეთვე საზაფხულო არდადეგების დრო, რომელიც მორიგ შვებულებას არ ემთხვევა, წარმოადგენს პედაგოგიურ მუშაკთა სამუშაო დროს. ამ პერიოდში სკოლის ადმინისტრაცია პედაგოგიურ მუშაკებს აბამს პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში იმ დროის ფარგლებში, რომელიც არ აღემატება მათს სასწავლო დატვირთვას არდადეგების დაწყებამდე.

არდადეგების დროს სკოლის სასწავლო-აღმზრდელითი და მომსახურე პერსონალი დაკავებულია ისეთ სამეურნეო სამუშაოებზე,

რომლებიც სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს (წვრილი რემონტი, მუშაობა სკოლის ტერიტორიაზე, სკოლის დაცვა და სხვ.), მათთვის დაწესებული სამუშაო დროის ფარგლებში.

31. სკოლის შრომითი კოლექტივის საერთო კრებები ტარდება აუცილებლობისა და მიხედვით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ წელიწადში.

პედაგოგიური საბჭოს სხდომები, როგორც წესი, ტარდება ერთხელ სასწავლო მეოთხედის განმავლობაში. მასწავლებელთა და აღმზრდელთა შინადასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობები ტარდება არაუმეტეს ორჯერ სასწავლო მეოთხედის განმავლობაში.

მშობელთა საერთო კრებები მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ, ხოლო საკლასო კრებები — წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ.

32. შრომითი კოლექტივის საერთო კრებები, პედაგოგიური საბჭოს სხდომები და შინადასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მეცადინეობები, როგორც წესი, 2 საათზე მეტს არ უნდა გრძელდებოდეს, მშობელთა კრება — 1,5 საათს, მოსწავლეთა კრებები და მოსწავლეთა ორგანიზაციების სხდომები — 1 საათს, საწრეო და სექციური მეცადინეობები — 45 წუთიდან 1,5 საათამდე.

33. მუშაკთა ყოველწლიურ შევებულებაში გასვლის რიგს აწესებს სკოლის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით სკოლის ნორმალური მუშაობისა და მუშაკთათვის საკეთილდღეო პირობების უზრუნველსაყოფად.

სკოლის პედაგოგიურ მუშაკებს, შევებულება როგორც წესი, ეძლევათ ზაფხულის არდადეგების პერიოდში. შევებულებათა გრაფიკი დგება ყოველი კალენდარული წლისათვის არაუგვიანეს მიმდინარე წლის 5 იანვრისა, რომელსაც სკოლის ყველა მუშაკი უნდა გაეცნოს.

სკოლის დირექტორის შევებულებაში გასვლა ფორმდება შესაბამისი სახალხო განათლების ორგანოს ბრძანებით, ხოლო სხვა მუშაკებისა — სკოლის ბრძანებით.

34. სკოლის პედაგოგიურ და სხვა მუშაკებს ეკრძალებათ:

- ა) თავიანთი შეხედულებებისამებრ გაკვეთილების (მეცადინეობათა) ცხრილისა და მუშაობის გრაფიკის შეცვლა;
- ბ) გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა, გაკვეთილებისა (მეცადინეობათა) და მათ შორის დაწესებული შესვენებების ხანგრძლივობის გადიდება ან შემცირება;
- გ) მოსწავლის გაკვეთილიდან (მეცადინეობიდან) გაძევება;
- დ) სკოლის შენობაში თამბაქოს მოწევა.

35. აკრძალულია:

- ა) სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოებზე მოცდენა, რომლებიც სასწავლო პრო-

ცესთან არაა დაკავშირებული; მოსწავლეთა გაკვეთილები დღეს გასწავლისუფლება საზოგადოებრივ დავალებათა შესასრულებლად, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) სასწავლო დროს პედაგოგიურ მუშაკთა და სკოლების ხელმძღვანელთა მათი უშუალო საქმიანობისაგან მოცდენა, გამოძახება ან სამუშაოსგან განთავისუფლება საზოგადოებრივ ღონისძიებათა შესრულებისა და სხვადასხვა ღონისძიებათა ჩასატარებლად, რაც საწარმოო საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული;

გ) სამუშაო დროს საზოგადოებრივ საქმეებთან დაკავშირებული კრებების, სხდომებისა და სხვადასხვა თათბირების მოწვევა.

36. გარეშე პირებს გაკვეთილებზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ სკოლის დირექტორის ან მისი მოადგილეების ნებართვით. გაკვეთილის (მეცადინეობის) დაწყების შემდეგ კლასში (ჯგუფში) შესვლის უფლება, გამონაკლისს შემთხვევაში, აქვთ მხოლოდ სკოლის დირექტორს ან მის მოადგილეებს.

ნებადართული არ არის გაკვეთილის (მეცადინეობის) პროცესში ან მოსწავლეთა თანდასწრებით პედაგოგიური მუშაკებისათვის შენიშვნების მიცემა მათი მუშაობის გამო.

VI. წახალისება მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის

37. შრომითი მოვალეობებისა და სოციალისტური ვალდებულებების სანიმუშოდ შესრულების, ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში წარმატებების, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობის, შრომაში ნოვატორობისა და მუშაობაში მოპოვებული სხვა მიღწევებისათვის გამოიყენება შემდეგი სახის წახალისებანი:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) პრემიის მიცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება;
- დ) საპატიო დაფასა და საპატიო წიგნში შეტანა;
- ე) საპატიო სიგელებით დაჯილდოება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას შეუძლია სხვა სახის წახალისების ვათვალისწინებაც.

ამ მუხლის „ა“ ქვემუხლით ვათვალისწინებულ წახალისებას ადმინისტრაცია იყენებს სკოლის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით. ხოლო „დ“ ქვემუხლით — პროფკავშირის კომიტეტთან ერთად.

„ა“, „ბ“ და „ე“ ქვემუხლებით ვათვალისწინებულ წახალისებას აწესებენ სახალხო განათლების ზემდგომი ორგანოები და პროფკავშირის კომიტეტები სკოლის ადმინისტრაციისა და პროფკავშირის კომიტეტის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე.

38. სკოლების მუშაკებს განსაკუთრებული შრომითი დამსახურე-



ბისათვის წარადგენენ ზემდგომ ორგანოებში სსრ კავშირის ორდენის მქონე ბიჭობისა და მედლებით დასაჯილდოებლად, „სსრ კავშირის სახალხო მუსიკის წავლებლის“ და სსრ კავშირისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა საპატიო წოდებების მისანიჭებლად, სახელობითი მედლებითა და წარჩინების ნიშნებით დასაჯილდოებლად, რაც სახალხო განათლების მუშაკთათვის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

39. ატესტაციის შედეგებით სკოლის მოწინავე მასწავლებლებს ენიჭებათ „მასწავლებელ-მეთოდისტი“, „უფროსი მასწავლებლის“, „აღმზრდელ-მეთოდისტი“. „უფროსი პიონერხელმძღვანელ-მეთოდისტი“ წოდებები. ამ წოდებების მინიჭება ხდება საატესტაციო კომისიების წინადადებით ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ დებულებების შესაბამისად.

40. მუშაკთა წახალისება უზრუნველყოფს შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირების შეხამებას.

წახალისება ცხადდება ბრძანებით (განკარგულებით), ეცნობება სკოლის მთელ კოლექტივს და შეიტანება მუშაკის შრომის წიგნაკში.

41. მუშაკებს, რომლებიც წარმატებით და კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს, პირველ რიგში ეძლევათ უპირატესობანი და შეოვათები სოციალურ-კულტურული და საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში (სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები, საბინაო პირობების გაუმჯობესება და სხვ.).

მუშაკთა საზოგადოებრივი, მორალური და მატერიალური წახალისებისას, აგრეთვე სახელმწიფო ჯილდოებსა და საპატიო წოდებებზე წარდგენისას გაითვალისწინება შრომითი კოლექტივის აზრი.

VII. პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

შრომის დისციპლინის დარღვევა, ე. ი. მუშაკის მიზეზით მასზე შრომის ხელშეკრულებით, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წესდებით, შრომის შინაგანაწესით, შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დებულებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება განაპირობებს მის მიმართ დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზომების გამოყენებას.

42. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სკოლის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს:

- ა) შენიშვნას;
- ბ) საყვედურს;
- გ) სასტიკ საყვედურს;



დ) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანას სამ თვემდე ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებას იმავე ვადით.

შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენისა და სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის მუშაკი შეიძლება გადაყვანილ იქნეს სხვა დაბალხელფასიან სამუშაოზე ან ჩამოყენებულ იქნეს სხვა დაბალ თანამდებობაზე ამ ქვემუხლის პირველ აბზაცში აღნიშნული ვადით:

პედაგოგიურ მუშაკთა მიმართ ამ მუხლის „დ“ ქვემუხლით გათვალისწინებული დისციპლინური სასჯელი არ გამოიყენება;

ე) დათხოვნას.

დათხოვნა დისციპლინური სასჯელის სახით გამოიყენება შრომის ბელშეკრულებით. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის წესდებით ან შრომის შინაგანაწესით მუშაკზე დაკისრებულ მოვალეობათა არასაპატიო მიზეზით სისტემატური შეუსრულებლობისათვის, თუკი მის მიმართ აღრე უკვე გამოყენებული იყო დისციპლინური ან საზოგადოებრივი სასჯელის ზომები არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენის (მათ შორის სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე არყოფნა სამ საათზე მეტ დროს) და აგრეთვე სამუშაოზე არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადებისათვის.

გაცდენად ითვლება სამუშაოზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში.

ზუსტად ასევე გამცდენებად ითვლებიან ის მუშაკებიც, რომლებიც მთელი სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე არ გამოცხადდებიან სამ საათზე მეტ დროს არასაპატიო მიზეზით და მათ მიმართ იყენებენ პასუხისმგებლობის ისეთივე ზომებს, რაც გაცდენებისთვისაა დაწესებული.

არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისათვის (მათ შორის მთელი სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოზე გამოუცხადებლობა სამ საათზე მეტ დროს) სკოლის ადმინისტრაცია იყენებს ამ შრომის შინაგანაწესის მოცემული მუხლით გათვალისწინებულ დისციპლინურ სასჯელს.

მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად პედაგოგიური მუშაკები შეიძლება დათხოვნილ იქნენ სამუშაოდან ამორალური ქმედებისათვის, რაც მათი აღმზრდელობითი ფუნქციების შემდგომი შესრულებისათვის შეუთავსებელია.

დისციპლინური სასჯელის დადება შეუძლიათ სკოლის დირექტორსა და სახალხო განათლების ორგანოების შესაბამის თანამდებობის პირებს მათთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

42-ე მუხლის „ე“ ქვემუხლით გათვალისწინებული დისციპლინური სასჯელი პედაგოგიურ მუშაკთა მიმართ გამოიყენება შესაბამისი



სახალხო განათლების ორგანოს მიერ სკოლის ადმინისტრაციის დინამიკისა და სკოლის პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით ფუძეველზე.

სკოლის ადმინისტრაციას უფლება აქვს დისციპლინური სასჯელის გამოყენების ნაცვლად შრომის დისციპლინის დარღვევის საკითხი განსახილველად გადასცეს შრომითს კოლექტივს, ამხანაგურ სამართლოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

44. დირექტორისა და მისი მოადგილეების მიმართ დისციპლინურ სასჯელს იყენებს ის სახალხო განათლების ორგანო, რომელსაც მათი დანიშვნისა და დათხოვნის უფლება აქვს.

45. შრომითი კოლექტივები მკაცრ ამხანაგურ მომთხოვნელობას იჩენენ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ შრომითს მოვალეობებს; კოლექტივის წევრთა მიმართ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის იყენებენ საზოგადოებრივი სასჯელის დისციპლინურ ზომებს (ამხანაგური შენიშვნა, საზოგადოებრივი საყვედური) და მასალას შრომის დისციპლინის დამრღვევთა შესახებ განსახილველად გადასცემენ ამხანაგურ სამართლოებს, აყენებენ საკითხებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომების გამოყენების შესახებ.

46. სასჯელის დადებამდე შრომის დისციპლინის დამრღვევებს უნდა მოეთხოვოთ წერილობითი ახსნა-განმარტება. მუშაკის უარი ახსნა-განმარტების მიცემაზე არ შეიძლება ჩაითვალოს წინააღმდეგობად მის მიმართ დისციპლინური სასჯელის გამოყენებისათვის.

ადმინისტრაცია დისციპლინურ სასჯელს იყენებს გადაცდომის გამოვლენისთანავე. მაგრამ არაუგვიანეს ერთი თვისა მისი გამოვლენის დღიდან, მუშაკის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩათვლელად.

დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ. აღნიშნულ ვადაში არ შედის სისხლის სამართლის საქმის წარმოების დრო.

47. შრომის დისციპლინის ყოველი დარღვევისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნხოლოდ ერთი დისციპლინური სასჯელი.

დისციპლინური სასჯელის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, მუშაკის წინანდელი მუშაობა და ყოფაქცევა.

48. დისციპლინური სასჯელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროფკავშირის კომიტეტის შემადგენლობაში შეყვანილ მუშაკთა მიმართ ამის შესახებ სკოლის პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე, ხოლო პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის

ან პროფორგანიზატორის მიმართ — ზემდგომი პროფკავშირული განოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

49. ბრძანებას (განკარგულებას) დისციპლინური სასჯელის გამოყენების შესახებ (მისი გამოყენების გარემოებათა მინიშნებით) მუშაკი უნდა გაეცნოს სამი დღის განმავლობაში ხელწერილქვეშ.

ბრძანებას (განკარგულებას) აუცილებელ შემთხვევებში სკოლის მუშაკებიც ეცნობიან.

50. თუ დისციპლინური სასჯელის გამოყენების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაკს არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ჰქონდა დადებული.

თუ მუშაკს ხელახლა არ დაურღვევია შრომის დისციპლინა და, ამასთან, თავი გამოიჩინა როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, სკოლის ადმინისტრაციას თავისი ინიციატივით ან შრომითი კოლექტივის შუამდგომლობით შეუძლია ბრძანებით (განკარგულებით) მოუხსნას მას დისციპლინური სასჯელი ერთი წლის გასვლამდე.

დისციპლინური სასჯელის მოქმედების ვადის განმავლობაში მუშაკის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ღონისძიებანი, რომლებიც ამ შრომის შინაგანაწესშია მოცემული.

51. თუ კოლექტივის წევრს ხელახლა არ დაურღვევია დისციპლინა და თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა მუშაკმა. შრომითს კოლექტივს უფლება აქვს ვადამდე ადრე, ე. ი. სასჯელის გამოყენებიდან ერთი წლის გასვლამდე, მოუხსნას მას სასჯელი და ავრეთვე უშუამდგომლოს დისციპლინური სასჯელის ვადამდე მოხსნის ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ადმინისტრაციის მიერ მის მიმართ გამოყენებული სხვა ზომების მოქმედების მოხსნის შესახებ.

52. შრომის შინაგანაწესი უნდა გამოიკრას სკოლაში თვალსაჩინოდ აღვილას.

**ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ
ГРУЗИНСКОЙ ССР**



**Об утверждении Правил внутреннего трудового распорядка
для работников общеобразовательных школ системы
Министерства просвещения Грузинской ССР**

26 июня 1986 года, № 184

В соответствии с Типовым Положением «О Правилах внутреннего трудового распорядка для работников общеобразовательных школ системы Министерства просвещения СССР», **п р и к а з ы в а ю:**

1. Утвердить и с 1-го июля 1986 года ввести в действие новые Правила внутреннего трудового распорядка для работников общеобразовательных школ системы Министерства просвещения Грузинской ССР (Приказ № 1075/02 от 11.05.86 г.), согласованные с Республиканским комитетом профсоюзов работников просвещения, высшей школы и научных учреждений.

2. Руководителям общеобразовательных школ разработать к новому 1986—1987 учебному году и утвердить Правила внутреннего трудового распорядка, в соответствии с настоящими Правилами внутреннего трудового распорядка.

Основание: Приказ Министерства просвещения СССР от 23 декабря 1985 года, № 223.

Министр Н. Ш. Васадзе

Министерством просвещения СССР по согласованию с РК профсоюза работников просвещения, высшей школы и научных учреждений

(Приказ от 11 мая 1986 г.

№ 1075/02)

ПРАВИЛА ВНУТРЕННЕГО ТРУДОВОГО РАСПОРЯДКА ДЛЯ РАБОТНИКОВ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ СИСТЕМЫ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ СССР

I. Общие положения


1. В соответствии с Конституцией СССР граждане имеют право на труд. Обязанность и дело чести каждого способного к труду гражданина СССР — добросовестный труд в избранной им области общественно полезной деятельности, соблюдение трудовой дисциплины.

Социалистическая дисциплина труда — это не только строгое соблюдение правил внутреннего трудового распорядка, но и сознательное, творческое отношение к своей работе, обеспечение ее высокого качества, производительное использование рабочего времени.

Трудовая дисциплина обеспечивается созданием необходимых организационных и экономических условий для нормальной высокопроизводительной работы, сознательным отношением к труду, методами убеждения, воспитания, а также поощрением за добросовестный труд. К нарушителям трудовой дисциплины применяются меры дисциплинарного и общественного воздействия.

Важнейшим направлением в работе по воспитанию и укреплению социалистической дисциплины труда является эффективное использование прав, предоставленных трудовым коллективам Законом СССР «О трудовых коллективах и повышении их роли в управлении предприятиями, учреждениями, организациями».

2. Правила внутреннего трудового распорядка имеют целью способствовать воспитанию работников в духе коммуни-



тического отношения к труду, дальнейшему укреплению дисциплины, организации труда на научной основе, рациональному использованию рабочего времени, высокому качеству работ.

ზე და შემდეგ კოლეგიაზე ამტკიცებს შესაბამისი სამმართველო-გან-
ყოფილება.

5. დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერი სახელმძღვანელოების
სამმართველოს უნდა წარედგინოს ორ ეგზემპლარად; ხელნაწერი უნ-
და იყოს გადაბეჭდილი სტანდარტული თაბახის ფურცელზე ორი ინ-
ტერვალით (28-30 სტრიქონი გვერდზე, 58-60 ნიშანი სტრიქონზე);

6. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დავალოს
მინისტრის პირველ მოადგილეს (ამხ. ლ. გაგუა).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვახაძე



რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შორის
ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემოწმების
შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ნაწილობრივ გაუმჯობესდა აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობა. გაიზარდა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების და სკოლა-ინტერნატების დირექციებისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ფიზიკური აღზრდის საკითხებისადმი.

ამ მიმართებათ აღსანიშნავია ახალციხის (დირექტორი ს. მიქუტიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. სამსონაძე), ორჯონიძის რაიონის სოფელ კიცხის (დირექტორი ა. ჩხიკვაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ბერაძე), კასპის (დირექტორი ა. ბერიანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. ხორგუაშვილი), გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის (დირექტორი ზ. სიმონიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. მოსულიშვილი) საშუალო და ლაგოდების (დირექტორი თ. ნაყავლაშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ლ. ბანდური), ჩხოროწყუს (დირექტორი კ. ქვარცხავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. კვიციანი), გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფის (დირექტორი ვ. ძაძაძა, ფიზკულტურის მასწავლებელი ს. კესოვი), მახარაძის (დირექტორი ც. მეგრელაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. სიხარულიძე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები, სადაც დამაკმაყოფილებლად ტარდება ფიზკულტურის ვაკვეთილები, შინასასკოლო შეჯიბრებები, ფიზკულტურის კოლექტივის სექციებისა და ფასიანი სპორტული ჯგუფების მეცადინეობები. დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ფიზკულტურული პაუზები და დიდ დასვენებებზე მასობრივი მოძრაობითა და მთაშობებით. მოვლილი და მოწესრიგებულია სპორტული ბაზები და სასწავლო ინვენტარი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების ზოგიერთი ადგილობრივი ორგანოების და სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობის საქმიანობაში აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის საქმეში შეინიშნება არსებითი ნაკლოვანებები.

ასეთებია: ქ. ბათუმის 1-ლი (დირექტორი ნ. ქიქავა, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ლაღაძე), ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის (დირექტორი თ. გოგიტიძე, ფიზკულტურის მასწავლებლები რ. ყურმუზარი და ს. ყურმუზარი), თიანეთის (დირექტორი ე. მგელია-



შვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები გ. ჯანგირაშვილი, თ. რაძე), ვარდანის რაიონის დაბა კოჯრის (ფიზკულტურის მასწავლებლები ნ. ქოროლიშვილი და შ. თუშიშვილი) საშუალო და გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარის (დირექტორი ა. ამპარი, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. კეხეა), გულიფშის რაიონის სოფელ ბაბუშგარის (დირექტორი თ. ზამთარია, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ანთია), ქ. ზუგდიდის (დირექტორი დ. დავარგულია, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ბაკურაძე) რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები.

აღნიშნულ სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება უფერულად, უინტერესოდ, მოძველებული მეთოდებით, არ ინერგება სიახლეები, ხშირად ირღვევა განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სავალდებულო შინასასკოლო სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების ვადები. ნაკლები ყურადღება ექცევა მშთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნიშნისების მომზადებისა და ჩატარების საქმეს, მოისუსტებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. მოუწყვს რიგებელია სპორტული დარბაზები და მარტივი ტიპის ღია მოედნები. ნაკლები რაოდენობითაა შექმნილი სპორტული ინვენტარი, რაც ხელს უშლის საპროგრამო მასალის ათვისებას.

ამ სკოლებში არ არის გამოვლენილი სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეები და შესაბამისად არ მიმდინარეობს მუშაობა სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებში, შესუსტებულია მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობა და კონტროლი. ყოველივე ამან განაპირობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მიმართ პასუხისმგებლობის დაქვეითება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები მეტნაკლებად დამახასიათებელია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების დიდი ნაწილისათვის, სადაც ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა ზერელობა, ბევრ პედაგოგსა და განათლების სისტემის მუშაკს არ შეუცვლია დამოკიდებულება ამ უღიფხესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი. ბევრ სკოლა-ინტერნატში ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც სწავლებისა და აღზრდის ერთიანი სისტემის ორგანული ნაწილი, მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი და ჰარმონიული აღზრდის, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის გონივრული და შინაარსიანი გართობისა და, რაც მთავარია, სამშობლოს მომავალ დამცველთა ფიზიკური მომზადებისა და სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი პირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ უმნიშვნელოა ფიზაღზრდისა და სპორტის, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოების და ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტული სკოლის როლი ინტერნატული ტიპის დაწესებულებებისათვის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში



პრაქტიკული და მეთოდური დახმარების, ასევე სისტემატურ ტროლის დაწესების საქმეში.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— გადაწყვიტონ საკითხი სკოლა-ინტერნატებში აუცილებელი სარემონტო სამუშაოების ჩატარებისა და გეგმიური ახალშენებლობების შესახებ;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ინტერნატულ დაწესებულებებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის გეგმაზომიერად წარმართვას, შეიმუშაონ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად, სპორტული ფორმისა და ინვენტარ-მოწყობილობის შესაძენად.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

— მიიღონ ქმედითი ზომები აღსაზრდელების ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად. წესრიგში მოიყვანონ ფიზკულტურის დარბაზები და სპორტული ბაზები, შეიძინონ დამატებით ის სპორტული ინვენტარი, რაც საჭიროა ფიზიკურ კულტურაში საპროგრამო მასალის გასავლელად, ამისათვის ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების დახმარება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ საქმისათვის მოსწავლეთა ინიციატივას, მათ პირად მონაწილეობას მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობაში. მიაღწიონ იმას, რომ არც ერთი სკოლა-ინტერნატი არ დარჩეს კალათბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, ბადმინტონის მარტივი მოედნების გარეშე;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ და გააძლიერონ მომთხოვნელობა და კონტროლი გაკვეთილების ჩატარების ხარისხზე, კლასგარეშე ფიზკულტურული ღონისძიებების ჩატარებაზე, არ დაუშვან აღნიშნული ღონისძიებების გაცდენებისა და ჩაშლის შემთხვევები, სისტემატურად განიხილონ ეს საკითხები და ყოველი დარღვევა აქციონ მკაცრი მსჯელობის საგნად.

— მიაღწიონ იმას, რომ ფიზკულტურის გაკვეთილი და კლასგარეშე მუშაობა შეეხსაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებს. შექმნან სკოლა-ინტერნატებში მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მოსამზადებელი, გამაჯანსაღებელი და სამედიცინო ჯგუფები. მშთ კომპლექსზე მუშაობა წარმართონ ისე, რომ გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა აბსოლიტურ უმრავლესობას მთლიანად ჩაბარებული ჰქონდეს ნორმატივები კომპლექსის ნიშანზე.

— არ დაუშვან კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტული ინსტიტუტების გვერდის ავლის შემთხვევები. მკაცრად დაიცვან სკოლის ინტერნატებში ღონისძიებების ჩატარების სტაბილური კალენდრული ყოველგვარი ზომები გაატარონ „იმედის სტარტების“ მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად;

— სპორტული ბაზების მოწყობისა და ინვენტარით შევსების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპეციალური სკოლა-ინტერნატების სპორტული ბაზებისა და ინვენტარის სპეციფიკურობას. გააძლიერონ ზედამხედველობა ფასიანი სპორტული ჯგუფების მუშაობაზე, შეარჩიონ მათ ხელმძღვანელებად მაღალკვალიფიციური სპეციალისტები;

— სკოლა-ინტერნატების პედსაბჭოს სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ანგარიში;

— სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელთა მიერ ცურვის მასობრივად შესწავლის მიზნით, ყოველწლიურად ზაფხულის პერიოდში მოაწყონ გამაჯანსაღებელი საბანაჟო შეკრებები იმ რეგიონებში, სადაც ცურვის შესწავლისათვის სათანადო პირობები არსებობს.

3. სკოლა-ინტერნატების ფიზიკური კულტურის მასწავლებლებმა კომპლექსური პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყონ დილის გამამხნეველი ვარჯიშის, დიდი დასვენების დროს მოძრავი თამაშობების, ფიზკულტპაუზების, თვეში ერთხელ ჯანმრთელობისა და სპორტის დღეების ხარისხიანი ჩატარება.

4. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხ. მ. მნათობიშვილი) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. გ. ვარდოსანიძე) სამმართველოებმა გააძლიერონ მომთხოვნელობა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობისადმი;

ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალურ რესპუბლიკურ სპორტულ-სკოლასთან ერთად ყოველწლიურად ჩატარონ სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელთა სპორტული შეჯიბრებები და გამაჯანსაღებელი ღონისძიებები მათი სპეციფიკის გათვალისწინებით. ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებისათვის ორ წელიწადში ერთხელ — რესპუბლიკური სპარტაკიადა. 1986—1987 სასწავლო წლისათვის ადგილობრივი პირობების და მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრების გათვალისწინებით განუსაზღვრონ სკოლა-ინტერნატებს სპორტის სახეები ფასიან სპორტულ ჯგუფებში.

5. აღინიშნოს ქ. ქ. ბათუმის, ზუგდიდის, ქობულეთის, გარდაბნის, თიანეთის, გუდაუთის, ვულრიფშის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების (ამხ. ამხ. ზ. კომახიძე, მ. ქავთარაძე, ლ. მესხიძე, ზ. ზაქარეიშვილი, ვ. ოზგაიძე, ი. შამბა, ნ. სართანია) სუსტი მუშაობა და არასათანადო კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერ-

ნატებისადმი. მათვე დაევალათ განიხილონ აღნიშნული სკოლა-ინტერნატების ფიზიკური კულტურის მასწავლებლების გ. ლალიძის, რ. ყურშებარის, ს. ყურშებარის, გ. ჯანგირაშვილის, თ. ქვათაძის, ნ. ქოროლიძის, შ. თუშიშვილის, ი. კეხბას, ნ. ანთიას და ა. ბაკურაძის სუსტი მუშაობის საკითხი, შეიმუშაონ სათანადო ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. ქ. ბათუმის, ზუგდიდის, ქობულეთის, თიანეთის, გარდაბნის, გუდაუთის, გულრიფშის რაიონების სკოლა-ინტერნატების დირექტორების (ნ. ქიქავას, გ. დაგარგულიას, ა. გოგიტიძის, ე. მეგლიაშვილის, ა. ამპარის და ი. ზამთარიას) მუშაობა ფიზიკური კულტურის საგნის მასწავლების, სპორტული ბაზების მოვლა-პატრონობის საქმეში ჩაითვალოს არააღმსაყმაყობი უნდა.

მათვე დაევალათ განახორციელონ ღონისძიებები აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და ჩატარებული მუშაობის შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ გარდაბნის რაიონის დაბა კოჯრის სკოლა-ინტერნატების დირექტორი ამხ. გ. სულავა განათლების სამინისტროს კოლეგიის მიერ გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

9. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (ამხ. მ. მნათობიშვილი) და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. გ. ვარდოსანიძე) სამმართველოებს.

გადაწყვეტილება დაყვანილ და განხილულ იქნეს ყველა სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და შემუშავებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებების გეგმა.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე



რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის რიგ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებში ბოლო წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა, რაც განაპირობა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ ამ მიმართებით მომთხოვნელობის გაძლიერებამ, რის შედეგადაც ამაღლდა სკოლა-ინტერნატების დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა, ფიზიკური კულტურის სასწავლო პროცესის, კლასგარეშე მუშაობისა და დღის რეჟიმით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებების ჩატარებისადმი.

სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობის შესწავლამ ცხადყო, რომ: ახალციხის (დირექტორი ს. მიქუტიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებლები ვ. სამსონაძე), ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის (დირექტორი ა. ჩხიკვაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ბერაძე), კასპის (დირექტორი ი. ბერიანიძე, ფიზკულტურის მასწავლებელი ბ. ხორგუაშვილი), გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის (დირექტორი ზ. სიმონიშვილი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. მოსულიშვილი), ლაგოდეხის (დირექტორი კ. ქვარცხავა, ფიზკულტურის მასწავლებელი ი. კვიციანი), მახარაძის (დირექტორი ც. მეგრელაძე, ფიზკულტურის მასწავლებელი თ. სიხარულიძე) საშუალო და რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში კარგად არის დაყენებული ფიზიკური კულტურის საგნის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საქმე.

დასახელებული სკოლა-ინტერნატების დირექტორები სისტემატურად აკონტროლებენ ფიზიკური კულტურის სასწავლო და კლასგარეშე გამაჯანსაღებელ მუშაობას, პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე კვალიფიციურად იხილავენ საკითხებს და მიღებულ დადგენილებათა შესრულებასზე დაწესებული აქვთ სისტემატური კონტროლი, პედაგოგიური კოლექტივები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ფიზიკური კულტურის მასწავლებლებს მეცადინეობის დაწყებამდე ტანვარჯიშის, დიდი დასვენების დროს სპორტული თამაშობების, გაკვეთილებზე ფიზკულტურული წუთის და თვეში ერთხელ ჯანმრთელობისა და სპორტის დღეების ჩატარებაზე.

ფიზიკური კულტურის მასწავლებლები, საპროგრამო მასალას გადიან განათლების სამინისტროს მიერ გამოშვებული წლიური სასწავ-

ლო გეგმა-გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილებზე ფართოდ სწავლების თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს.

წრიული წვრთნის მეთოდის გამოყენებით, გაკვეთილის სიმკვრივის გაზრდით, დამოუკიდებლად მეცადნეობის ჩვევის დანერგვის შედეგად მათი გაკვეთილები გამოირჩევა ემოციურობითა და მაღალი მოტივით სიმკვრივით, სათანადო სიმაღლეზე დგას ასევე კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, სახელდობრ, ბავშვთა საკავშირო სპორტული თამაშების „იმედის სტარტების“ და მშთ ფიზკულტურული კომპლექსის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების დანერგვამ, სპორტის სახეობების გაზრდამ და ფიზიკურად სუსტ მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობების ჩატარებამ განაპირობა ფიზკულტურული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის რიგმა სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობამ აღსაზრდელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და მასობრივ-სპორტული მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ გარდაქმნეს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, რამაც მთელი რიგი ნაკლოვანებები განაპირობა, ასე მაგალითად:

ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ნ. ქიქავა, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელით დარგში გ. გერაძე, უფროსი აღმზრდელი ნ. კავაბოვა, ფიზკულტურის მასწავლებელი გ. ლაღაძე) წლიურ სამუშაო გეგმაში მკირე რაოდენობითაა შეტანილი საკითხები ფიზიკური კულტურის სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი შეუსრულებელია.

1985 წლის 20 ნოემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ფიზკულტურაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის საკითხები. ოქმიდან ირკვევა, რომ სტაბილური კალენდრის მიხედვით არ ტარდება შინასასკოლო შეჯიბრებები, არ მზადდება სააგიტაციო მასალები და თვალსაჩინოებანი. გაკვეთილებზე მოსწავლეთა უმრავლესობა სპორტული ფორმის გარეშე ცხადდება.

მართალია უფროს აღმზრდელს თავის სამუშაო გეგმაში ფიზიკური კულტურის კლასგარეშე მუშაობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით გათვალისწინებული აქვს საკითხები, მაგრამ მის მიერ არ ხორციელდება ფასიანი სპორტული ჯგუფების მუშაობის შემოწმება, არ გააჩნია კლასგარეშე სპორტული მუშაობის ცხრილი, შინასასკოლო სპორტული ღონისძიებების ჩატარების აღრიცხვიანობა, არ არის დანერგილი თვეში ერთხელ ჯანმრთელობისა და სპორტის დღის ჩატარება, რაც დირექციის სუსტი მუშაობის შედეგია.

ადგილი აქვს მოსწავლეთა შორის მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მომზადება-ჩატარებაში დაშვებულ შეცდომებს, ასევე მოუ-



წესრიგებელია მათი დოკუმენტაცია, დღემდე შექმნილი არ არის საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები, არ გამოდის კედლის გაფორმების ფორტენდები, რეკორდების ცხრილი და სხვა. რესპუბლიკურ სპორტაკადემიებზე მათი გამოსვლა დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება.

სპორტულ დარბაზში (9x21 მ) იატაკი და მინები ჩამტვრეულია, ანალოგიური მდგომარეობაა მასწავლებელთა და მოსწავლეთა გასახდლებში, რაც ძალზე აფერხებს ფიზკულტურის გაკვეთილის ნორმალურად ჩატარების შესაძლებლობას. მოუწყობელია ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, ხოლო ფეხბურთის მოედანი მოითხოვს გარკვეული სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე კლასგარეშე მუშაობის გაფართოება და სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ხარისხიანად წარმართვა შეუძლებელი ხდება.

ინტერნატში ფასიანი ჯგუფის ერთი განაკვეთია ჩასმული, სადაც კალათბურთის გოგონათა და ვაჟთა სექციები მუშაობენ. შემოწმებით დადგინდა, რომ ამ სექციებში მოსწავლეთა მომზადების დონე, საპროგრამო მასალის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაბალია. ასევე სასურველია ჭიდაობის ფასიანი ჯგუფი შეიცვალოს მძლეოსნობის ჯგუფით, რაც გარკვეულ შედეგს მისცემს ინტერნატს.

გარდაბნის რაიონის დაბა კოჯრის საშუალო სკოლა-ინტერნატის ყოფილი (დირექტორი გ. სულავა, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელი ბითი მუშაობის დარგში კ. ჯავახაძე, უფროსი აღმზრდელი თ. დელმანტოვი. ფიზიკური კულტურის მასწავლებლები ნ. ქორილიშვილი და მ. თუშიშვილი) დირექცია არ ამოწმებს ფიზიკური კულტურის სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის მიმდინარეობას. დაწყებით კლასებში ფიზკულტურას საგნის მასწავლებლები ასწავლიან, რომლებიც სათანადო დონეზე ვერ ახორციელებენ კლასგარეშე მუშაობას, მართალია სკოლა-ინტერნატში დანერგილია დილის გამამხნევებელი ვარჯიში და დიდი დასვენების დროს მოძრავი თამაშობანი, მაგრამ ისინი ტარდება უხარისხოდ და დაბალ დონეზე. სკოლა-ინტერნატში ჯანმრთელობისა და სპორტის დღეები საერთოდ არ ტარდება.

ფიზიკური კულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა უმრავლესობა სპორტული ფორმის გარეშე ცხადდება, გაკვეთილები მეთოდურად დაბალ დონეზე ტარდება, რის შედეგადაც მოსწავლეთა მომზადების დონე საპროგრამო მოთხოვნილებიდან გამომდინარე დაბალია, სისტემატურად არ ტარდება შინასასკოლო შეჯიბრებები განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სპორტლონისძიებათა კალენდარული გეგმის შესაბამისად. ასევე მოუწესრიგებელია მშთ ფიზკულტურულ კომპლექსზე მოსწავლეთა მომზადება-ჩაბარების დოკუმენტაცია, არ მუშაობენ საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები, დაბალ დონეზე



მიმდინარეობს ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს მუშაობა, მოდის კედლის გაზეთი, არ გააჩნიათ ფოტოსტენდი, სპორტულ ნისძიებების ამსახველი მასალები.

მოუწყვრიგებელია სპორტული დარბაზი (2×16 მ), სადაც ანტი-სანიტარია სუფევს, კედლები დაზიანებულია, იატაკი ჩამტვრეულია, მოუწყობელია მასწავლებლის სამუშაო ოთახი და მოსწავლეთა გასახდლები, დარბაზში შეტანილია ხმარებისათვის უვარგისი სასწავლო ინვენტარი.

სასწავლო სპორტული ინვენტარის შესაძენად დირექციას არ უზრუნვავია, რაც იწვევს სასწავლო პროგრამის შეუსრულებლობას. მოუწყობელია ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. ყოველივე ამის შედეგად ფიზკულტურის საგნის სწავლება და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ძალზე დაბალ დონეზე მიმდინარეობს.

ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ი. გოგიტიძე, მოადგილე სასწავლო აღმზრდელით დარგში ნ. ყურშებარი, უფროსი აღმზრდელი ჯ. ბასილაძე, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები რ. ყურშებარი და ს. ყურშებარი) ბოლო სამი წლის განმავლობაში პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე არ განხილულა ფიზკულტურაში სასწავლო და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხები. მართალია მეცადინეობის დაწყებამდე ტანვარჯიში სისტემატურად ტარდება, მაგრამ დიდი დასვენების დროს მოძრავი თამაშობების ჩატარება არ მიმდინარეობს სრულყოფილად, არ ტარდება თვეში ერთხელ ჯანმრთელობისა და სპორტის დღეები.

გაკვეთილებზე მოსწავლეთა უმრავლესობა სპორტული ფორმის გარეშე ცხადდება, დაბალია მათი მომზადების დონე საპროგრამო მასალით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად. სპორტის რიგ სახეობებში არ ჩატარებულა სტაბილური კალენდრის მიხედვით გათვალისწინებული შინასასკოლო შეჯიბრებები, ხოლო ჩატარებული შეჯიბრებების დოკუმენტაცია დაუსრულებელია, არასწორად იწარმოება მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მომზადება-ჩაბარების დოკუმენტაცია. არ არის შექმნილი საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფები, რაც ხელს უშლის მოსწავლეთა მიერ მშთ ფიზკულტურული კომპლექსით გათვალისწინებული ნორმატივების ჩაბარებას.

კლასგარეშე მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მხოლოდ კალათბურთის სექციამში, სადაც მოსწავლეთა მომზადების დონე შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო ხელბურთის-ჯგუფში ვაერთიანებულ მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალით გათვალისწინებული მოთხოვნების ათვისება კი ძალზე დაბალია.

მიმდინარე სასწავლო წელს სპორტულ დარბაზში ჩატარებულ იქნა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც გაუმჯობესდა ფიზკულ-

ტურის გაკვეთილის ჩატარების შესაძლებლობა, მაგრამ არსებულ
სასწავლო სპორტული ინვენტარი ვერ აკმაყოფილებს საპროგრამო
მასალის გეგმაზომიერად გავლას, ასევე კეთილმოწყობას მოითხოვს
ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

გუდაუთის რაიონის სოფელ კალდახვარას სკოლა-ინტერნატის
(დირექტორი ა. ამპარი, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელითი მუ-
შაობის დარგში რ. ბრატუშვილი, უფროსი აღმზრდელი რ. აყიბა, ფიზი-
კური კულტურის მასწავლებელი ი. კეხბა) წლიურ სამუშაო გეგმაში
მცირე რაოდენობითაა გათვალისწინებული ფიზიკური კულტურის
სასწავლო და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის
გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, დირექტორის მიერ სის-
ტემატურად არ მოწმდება გაკვეთილები, შექმნილი არ არის მშთ ფიზ-
კულტურული კომპლექსის მომზადება-ჩაბარების მიმღები კომისია.
მეცადინეობის დაწყებამდე ტანვარჯიში და დიდი დასვენება არაორგა-
ნიზებულად მიმდინარეობს, ხოლო თვეში ერთხელ საერთოდ არ ტარ-
დება ჯანმრთელობისა და სპორტის დღე. სასწავლო ცხრილში ადგილი
აქვს გაკვეთილების დამთხვევის ფაქტებს, რაც იწვევს გაკვეთილის ხა-
რისხის დაქვეითებას. საკლასო ჟურნალებში არასწორად ივსება გა-
კვეთილის მასალის შინაარსი, არასწორად ფასდებიან მოსწავლეები.
უფროს აღმზრდელს კონტროლი არ აქვს დაწესებული შინასაკლასო
შეჯიბრებებსა და ფასიანი სპორტული ჯგუფების მუშაობაზე.

ფიზიკური კულტურის მასწავლებელი სისტემატურად არ ადგენს
ყოველდღიური გაკვეთილის გეგმას, არ იცავს განათლების სამინისტ-
როს მიერ გამოცემულ სასწავლო გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ
თანმიმდევრობას, რის შედეგადაც გაკვეთილები ტარდება მეთოდურად
დაბალ დონეზე, დაბალია მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათ-
ვისება.

არ ტარდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ში-
ნასაკლასო სპორტული ღონისძიებების სტაბილური კალენდარული
გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები. ყოველგვარი საფუძვლის
გარეშე წარმოებს მშთ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების
მომზადება-ჩაბარება, საერთოდ არ ხდება. მათ შესახებ დოკუმენტა-
ციის შედგენა. ასეთივე მდგომარეობაა თანრიგოსნების და საზოგადო-
ებრივი ინსტრუქტორების მომზადების საქმეში. სპორტული სექციე-
ბი ჩამოყალიბებულია ჩოგბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში.
აღნიშნული სექციების მუშაობის შესახებ, გარდა მეცადინეობის ცხრი-
ლისა, სხვა დოკუმენტაცია არ წარმოებს. ეს მდგომარეობა გამოწვეუ-
ლია სკოლა-ინტერნატის დირექციის უკონტროლობის შედეგად.

სკოლა-ინტერნატში ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ჩასა-
ტარებლად გამოყოფილია საკმაო ფართობის მქონე ოთახი, მაგრამ
იქ საჭიროა სარემონტო სამუშაოების ჩატარება.



სასწავლო სპორტული ინვენტარი ვერ აკმაყოფილებს სპორტულ მომსახურებას, მოწყობას, მოითხოვს ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები.

ფიზკულტურულ-სპორტული სააგიტაციო მუშაობა საერთოდ არ წარმოებს.

გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერას სკოლა-ინტერნატში (დირექტორი თ. ზამთარია, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელითი მუშაობის დარგში ჯ. სალაყაია, უფროსი აღმზრდელი ვ. ამალიანი, ფიზკულტურის მასწავლებელი ნ. ანთია) 1985 წლის 18 დეკემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ფიზიკური კულტურის საგნის სწავლებისა და კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის შესახებ, რომელზეც არადაამკაცოფილებლად იქნა შეფასებული ფიზაოზრდის მასწავლებლის მუშაობა. მართალია მეცადინეობის დაწყებამდე ტანვარჯიში და დიდი დასვენება სკოლა-ინტერნატში დანერგულია, მაგრამ ფიზიკური კულტურის მასწავლებელი მათ ჩატარებაში არ მონაწილეობს, ხოლო რაც შეეხება თვეში ერთხელ ჯანმრთელობისა და სპორტის დღის ჩატარებას, ისინი სკოლა-ინტერნატში საერთოდ არ ტარდება.

შექმნილი არ არის საკავშირო მშთ ფიზკულტურული კომპლექსის მომზადება-ჩაბარების მიმღები კომისია. ბრძანების წიგნში არ ფორმდება მომზადებული ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების სახელობითი სიები.

სასწავლო ცხრილში ადგილი აქვს ფიზიკური კულტურის გაკვეთილებს დამთხვევებს, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. საკლასო უურნალებში არასწორად ივსება გაკვეთილებზე განვლილი მასალის შინაარსი. მოსწავლეთა მიმდინარე და სემესტრული ნიშნების გამოყვანაში დაშვებულია შეცდომები, რაც, ძირითადად, დირექციის უკონტროლობის შედეგია.

უფროსი აღმზრდელის სამუშაო გეგმაში მცირე რაოდენობითაა ასახული კლასგარეშე მუშაობის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები, მის მიერ არ მოწმდება შინაასკოლო სპორტული შეჯიბრებები, ფასიანი ჯგუფებისა და მშთ ფიზკულტურულ კომპლექსზე საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფების მეცადინეობები.

ინტერნატში ექიმის ნახევარი განაკვეთია გამოყოფილი, რომელზედაც არავინ მუშაობს. საექიმო საქმეს ემსახურება ექთანი, საექიმო კაბინეტი არ არის აღჭურვილი საჭირო ხელსაწყოებით. სკოლა-ინტერნატში ჩატარებულია საექიმო შემოწმება, მაგრამ მოსწავლეები არ არიან დაყოფილი ჯგუფებად, იშვიათად ხდება სარაიონო და საქალაქო სპორტულ შეჯიბრებებზე გასვლის წინ მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება.

ხშირია ფიზიკური კულტურის მასწავლებლის სკოლა-ინტერნატი-გამოუცხადებლობის შემთხვევები, რის შედეგადაც გაკვეთილები ცდება. მის მიერ საერთოდ არ წარმოებს სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის შედგენა. არ ტარდება შინასასკოლო სპორტული ღონისძიებები, ფიზიკური კულტურის საბჭოს კოლექტივი საერთოდ არ არის ჩამოყალიბებული. მოუწყობელია ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედნები, გამოყოფილია ოთახი ფიზკულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად, მაგრამ მისი გამოყენება საერთოდ არ ხდება, სასწავლო სპორტული ინვენტარი საპროგრამო მასალით ვათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. არ წარმოებს ფიზკულტურულ-სპორტული სააგიტაციო მუშაობა.

თიანეთის რაიონის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ე. მგელიაშვილი, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში თ. კობტაშვილი, უფროსი აღმზრდელი ქ. ჯიმშიტაშვილი, ფიზიკური კულტურის მასწავლებლები გ. ჯანგირაშვილი და თ. ქავთარაძე) წლიურ სამუშაო გეგმაში საკმაო რაოდენობით არის ვათვალისწინებული ფიზკულტურაში სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. მეცადინეობის დაწყებამდე ტანვარჯიში და დიდი დასვენების ღონისძიება დანერგილია, მხოლოდ პედაგოგიური კოლექტივი მათ ჩატარებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. თვეში ერთხელ სისტემატურად არ ტარდება ჯანმრთელობისა და სპორტის დღეები.

უფროსი აღმზრდელის მიერ სუსტი კონტროლია დაწესებული კლასგარეშე მუშაობის მიმდინარეობაზე, მის მიერ არ მოწმდება ფასიანი სპორტული ჯგუფების მეცადინეობები, მათი სამუშაო გეგმების ხარისხი და შინასასკოლო სპორტული ღონისძიებები.

ფიზიკური კულტურის გაკვეთილები, ძირითადად, დამაკმაყოფილებლად ტარდება, მაგრამ მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი დაბალია. დაწყებით კლასებში კლასის ხელმძღვანელები გაკვეთილებს მეთოდურად დაბალ დონეზე ატარებენ.

ჯანათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შინასასკოლო სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმის მიხედვით ტარდება მხოლოდ რიგი სპორტული ღონისძიებებისა. სრულყოფას მოითხოვს მშთ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსით ვათვალისწინებული ნორმატივების მომზადება-ჩაბარების დოკუმენტაცია და ფასიანი სპორტული ჯგუფების სამუშაო გეგმები. შემოწმებულ სპორტულ ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია.

სპორტული დარბაზი მოუწყობელია, იატაკი შესაკეთებელია. საპროგრამო მასალის გავლას ვერ აკმაყოფილებს სასწავლო-სპორტული ინვენტარი, კეთილმოსაწყობია ღია მარტივი ტიპის სპორტული მოედ-

ნები, მოუწყობელია მოსწავლეთა გასახდლები და მასწავლებლებს
ბის სამუშაო ოთახი. დაბალ დონეზეა ფიზკულტურულ-სპორტული
საკავშირებო მუშაობა.

ქ. ზუგდიდის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის (დირექტორი დ. და-
გარგულია, მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში ი. ჭანტუ-
რია, უფროსი აღმზრდელი გ. ესებუა, ფიზიკური კულტურის მასწავ-
ლებელი ა. ბაკურაძე) წლიურ სამუშაო გეგმაში საკმარისი რაოდენო-
ბითაა შეტანილი საკითხები ფიზიკურ კულტურაში სასწავლო და
კლასგარეშე სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებასთან
დაკავშირებით. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე პრიორიტეტად იხი-
ლება ფიზიკური კულტურის საგნის სწავლების პროცესი, მხოლოდ მი-
ღებული დადგენილების ნაწილში თითქმის ყველა საკითხის შესრუ-
ლებაზე პასუხისმგებლობა დავალებული აქვს ფიზიკური კულტურის
მასწავლებელს, მაშინ როდესაც დებულებით რიგი საკითხების შეს-
რულება მეცადინეობის დაწყებამდე ვარჯიში და მოძრავი „დიდი და-
სვენება“ სკოლა-ინტერნატში ტარდება, მაგრამ მათი ჩატარების ხა-
რისხი დაბალია. ჯანმრთელობისა და სპორტის დღეები პერიოდულად
ტარდება.

სასწავლო გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული თანმიმდევრობის
დაცვით ვაკვეთილები რიგ შემთხვევაში არ მიმდინარეობს, რადგანაც
სპორტულ დარბაზში არ არის დამონტაჟებული ტანვარჯიშული იარა-
ღები, კეთილმოწყობას მოითხოვს ღია მარტივი ტიპის სპორტული
მოედნები, ხოლო ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებები და მშთ
დაბალ დონეზეა. შინასასკოლო სპორტული ღონისძიებების და მშთ
ფიზკულტურული კომპლექსის მომზადება-ჩატარების დოკუმენტაცია
არასრულყოფილია.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველო, ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის სამმართველო

ნიჩბოსნობაში მოსწავლე სპორტსმენთა უსაფრთხოების
უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 17 მარტს თბილისის ზღვაზე მოხდა უბედური შემთხვევა, წყალში დაიხრჩენენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სპორტკლუბის მწვრთნელი აკადემიურ ნიჩბოსნობაში — ზ. შიოშვილი და ამავე სპორტული კლუბის წევრი, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე — სპორტსმენი დ. ტუაევი.

მომხდარი შემთხვევის შესახებ დღეისათვის ცნობილია — ზ. შიოშვილი და დ. ტუაევი ზღვაში შევიდნენ ორადგილიანი წყვილმოსამელიანი აკადემიური ნავით თანმხლები სამაშველო მოტორიანი ნავის გარეშე. ერთ-ერთ მათგანს დაუზიანდა ნავის ნაწილი „ვერტლუფი“, რამაც ნავის გადაბრუნება და სპორტსმენთა დახრჩობა გამოიწვია.

მომხდარი უბედური შემთხვევის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ სპორტსმენების წყალზე გასვლა მოხდა სამაშველო მოტორიანი ნავის თანხლების გარეშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანალოგიურ შემთხვევებს წინა წლებშიაც ჰქონდა ადგილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირობითად წოდებული რესპუბლიკის სანიჩბოსნო სპორტული ბაზები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, დაბალ დონეზეა სამაშველო სამსახური, მცირე რაოდენობით აქვთ მოტორიანი სამაშველო ნაგები, საწვავი, არ აქვთ სამაშველო ყილტები. მდინარე მტკვარზე არსებული წყალჯომარდობის ბაზის გარდა, არც ერთ ბაზაზე არ არის საშხაპე, ცხელი წყალი, სამედიცინო მომსახურება, არასაკმარისია ნაგების შესანახი ელინგები და სხვა.

რაც შეეხება თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, იგი ჯერ კიდევ სუსტად ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს წყალთა სახეების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაზე. რომელსაც ნიჩბოსნობისათვის საკუთარი ბაზა არ გააჩნია. სკოლის დირექციას დაქირავებული აქვს სპორტული ბაზები. წყალში მხტომელთათვის — ვაკის საცურაო აუზი, სინქრონული ცურვისათვის — ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი, საბაიძარო და აკადემიური ნიჩბოსნობისათვის — მდინარე მტკვრის ცენტრალური წყალჯომარდობის ბაზა, თბილისის ზღვაზე ქ. თბილისის სპორტკომიტეტისა და პროფკავშირების წყალჯომარდობის ბაზები, ლისის



ტბაზე „სეკვავეკაზავტომატიკის“ შენობა, რისთვისაც სკოლას უზენაესი ყოველწლიურად 140,0 ათასი მანეთის იჯარის გადახდა.

მიუხედავად იმისა, რომ სპორტული სკოლა ნიჩბოსნებისათვის იძენს საჭირო რაოდენობის სპორტულ ინვენტარს (მოტორიან ნაგებს, აკადემიურ ნაგებს, ბაიდარებს და კანოეს) საკუთარი ბაზის უქონლობის გამო ეს ძვირადღირებული ინვენტარი მალე გამოდის მწყობრიდან, ღია ცის ქვეშ ნაგების კორპუსი სკდება მზის, წვიმისა და ქარის ზემოქმედების შედეგად.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ნორმალურად ჩატარებისათვის ნიჩბოსნობისათვის სკოლას წლის განმავლობაში ჭირდება სულ ცოტა 92 ტონა საწვავი. წლების განმავლობაში კი ღებულობს საშუალოდ 12-15 ტონა საწვავს.

მძიმე მდგომარეობაა ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა ნიჩბოსნობის სპორტულ სკოლაში, რომელიც წელიწადში მხოლოდ 1,2 ტონა საწვავს ღებულობს. უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნულ სკოლას ნაგები საერთოდ არ შეუძენია. ამ შემთხვევაშიც სკოლა მოკლებულია განათლების განყოფილების მზრუნველობასა და ყურადღებას.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესის პერიოდში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე კონტროლის დასაწესებლად, ასევე მათ მგზავრობისას უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად რესპუბლიკის სანიჩბოსნო სპორტული სკოლებისათვის და სასწავლო ჯგუფებისათვის საჭიროა გამოიყოს ორი „ბაზის“ ტიპის ავტობუსი და ორი სატვირთო ავტომანქანა „გაზ-53“ მოძრავ სახელოსნოდ მოტორებისა და ნაგების სასწრაფო შეკეთებისათვის, აგრეთვე საწვავისა და საცხები საშუალებების გადასატანად, საჭიროა ასევე სკოლებს გამოეყოს ფონდები და თანხა საკმარისი რაოდენობის საწვავის, სპორტული ფორმისა და ინვენტარის, სამაშველო საშუალებების შესაძენად.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

— ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს ცნობის (თან ერთის) საფუძველზე ღრმად შეისწავლონ და გააანალიზონ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში მოსწავლე სპორტსმენთა უსაფრთხოების საკითხები, განიხილონ ისინი კოლეგიის, სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დევალოს განათლების მინისტრის მოადგილეს (ამხ. ნ. ლაძე) და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსს (ამხ. მ. მნათობიშვილი) დააწესონ კონტროლი ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მუშაობაზე იმ მიმართებით, რომ, თუ სკოლების მატერიალურ-სპორტული ბაზები არ იქნება მოყვანილი წაყენებულ მოთხოვნათა შესაბამისობაში — აიკრძალოს სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა სპორტის მოცემულ სახეობაში.

3. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

— სათანადო ორგანოების წინაშე დასვას საკითხი ლისის ტბაზე ელინგების მოსაწყობად ტერიტორიის გამოყოფისა და „კავკასპეტომტიკის“ კუთვნილი ფინური ტიპის სახლის ბალანსიდან ბალანსზე გადმოცემის თაობაზე.

— აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება და დააწესოს კონტროლი წყალთა სახეების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაზე.

— წყალთა სახეების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ნორმალური მუშაობისათვის შექმნას სათანადო პირობები (საწვრთნელი ბაზა, სრულყოფილი ინვენტარი, ნაგების შესანახი და შესაკეთებელი ელინგები, გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო მომსახურება).

3. დევალოს ქ. ქუთაისის განათლების განყოფილებას:


— მიიღოს ყველა საჭირო ზომა მუშაობის ძირეულად გარდაქმნისათვის მატერიალური ბაზისა და სასწავლო-საწვრთნელი პროცესის სრულყოფის გათვალისწინებით.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

— რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ნიჩბოსნობის სპორტული სკოლებისათვის მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 1986—1987 წლებში გაითვალისწინოს ორი „ბაზის“ ტიპის ავტობუსისა და ორი სატვირთო მანქანის „გაზ-53“ გამოყოფა მოძრავ სახელოსნოდ მოტორებისა და ნაგების სასწრაფო შეკეთებისათვის და საწვავისა და საცხები საშუალებების გადასატანად.

— ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის ბავშვთა და მოზარდთა ნიჩბოსნობის სკოლების და ჯგუფებისათვის გამოყოს წელიწადში 495 ტონა საწვავი.

5. ეთხოვოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:



— განიხილოს საკითხი მდინარე მტკვარზე არსებული თბილისის სპორტკომიტეტის სანიჩბოსნო ბაზის ქ. თბილისის სახალხო სპორტსკოლების სამმართველოსათვის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემის შესახებ.

6. ეთხოვოს საქართველოს „დოსააფის“ ცენტრალურ კომიტეტს:

— წარმოდგენილი განაცხადების შესაბამისად გადაამზადოს ნიჩბოსნობის მწვრთნელები მოტორიანი ნაგებების მართვის უფლების მოწმობების მისაღებად.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს (ამხ. მ. მნათობიშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ნ. შ. ვასაძე

ნიჩბოსნობაში მოსწავლე სპორტსმენთა უსაფრთხოების
უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

1986 წლის 17 მარტს თბილისის ზღვაზე აკადემიურ ნიჩბოსნობაში სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის დროს მოხდა უბედური შემთხვევა. წყალში დაიხრჩუნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის სპორტული კლუბის მწვრთნელი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ზ. შიოშვილი და ამავე სპორტული კლუბის წევრი, ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე სპორტსმენი დ. ტუაევი.

მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურა. დღეისათვის ცნობილია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ზ. შიოშვილი და დ. ტუაევი ზღვაში შევიდნენ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი აკადემიური ნავით თანმხლები სამაშველო მოტორიანი ნავის გარეშე. ერთ-ერთ მათგანს დაუზიანდა ნავის ნაწილი „ვერტლუფი“, რამაც ნავის გადაბრუნება გამოიწვია. იმის გამო, რომ წყლის ტემპერატურა იყო დაბალი, ცივმა წყალმა გამოიწვია სპაზმები, რის შედეგადაც ნიჩბოსნები დაიხრჩუნენ.

მომხდარი უბედური შემთხვევის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ სპორტსმენების წყალზე გასვლა მოხდა სათანადოდ აღჭურვილი სამაშველო მოტორიანი ნავის თანხლების გარეშე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მომხდარი უბედური შემთხვევა არ არის ერთადერთი და პირველი. ანალოგიურ შემთხვევებს წინა წლებშიც ჰქონდა ადგილი.

საქართველოში არსებული სპორტული ბაზები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს, დაბალ დონეზეა სამაშველო სამსახური, არ ყოფნით მოტორიანი ნავეები, საწვავი, არ აქვთ სამაშველო ყილეტები, ტრენაჟორები, სანიჩბოსნო აუზი. რესპუბლიკას საერთოდ არ გააჩნია ნავეების შესაკეთებელი სპეციალური სახელოსნო, მდინარე მტკვარზე არსებული წყალჭომარდობის ბაზის გარდა არც ერთ ბაზაზე არ არის საშხაპე. ცხელი წყალი, სამედიცინო მომსახურება. ტანსაცმლის გასაშრობი. არასაკმარისია ნავეების შესანახი ელინგები და სხვა.

რაც შეეხება თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს წყალთა სახეების ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას, მას ნიჩბოსნობისათვის საკუთარი ბაზა არ გააჩნია. აღნიშნულ სკოლაში გაერთიანებულია სპორტის ოთხი სახე: აკადემიური, ბაიდარებსა და კანოეზე ნიჩბოსნობები, წყალში ხტომა და სინქრონული ცურვა. სადაც ქალაქის სხვადასხვა რაიონიდან 772 მოსწავლეა გაერთიანებული. სკოლას დაქირავებული აქვს სპორტული ბაზები: წყალში მხტომელთათვის — ვაკის საცურაო აუზი, სინქრონული ცურვისათვის — ლენინუ-

რი კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი. საბაიდარო და აკადემიური ნიჩბოსნობისათვის — მდინარე მტკვრის ცენტრალური წყალჭომარდობის ბაზა, თბილისის ზღვაზე. ქ. თბილისის სპორტულ-მედიცინისა და პროფკავშირების წყალჭომარდობის ბაზები, ლისის ტბაზე — „სეკვაკვაზავტომატიკის“ შენობა, რისთვისაც სკოლას ყოველწლიურად 140,0 ათასი მანეთის იჯარის გადახდა უხდება.

სპორტული სკოლა ნიჩბოსნობისათვის ყოველ წელს იძენს საჭირო რაოდენობის სპორტულ ინვენტარს (მოტორიან ნაგებებს, აკადემიურ ნაგებებს, ბაიძარებსა და კანოეს), მაგრამ საკუთარი ბაზის უქონლობის გამო ეს ძვირადღირებული ინვენტარი მალე გამოდის მწყობრიდან, ღია ცის ქვეშ დაწყობილი ნაგებების კორპუსი სკდება მზის, წვიმისა და ქარის ზემოქმედების შედეგად, ნავის კორპუსი ღებულობს დეფორმაციას, იკარგება ნავის კომპლექტში შემავალი ნაწილები (ნიჩბები, გორგოლაჭიანი საჯდომები, „ვერტლუგები“, ნავის საყრდენები, საჭეები), რაც იწვევს ნავის ნაადრევად მწყობრიდან გამოსვლას და გამოუსადეგარს ხდის შემდგომი ხმარებისათვის.

სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ნორმალურად ჩატარებისათვის ორივე ნიჩბოსნობისათვის თვეში საშუალოდ საჭიროა 1000 საათი, საერთოდ წელიწადში კი 9848 საათი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოტორი „ვიხრი“ ერთი საათის განმავლობაში წვავს 14 ლ. ბენზინს და 0.8 ლ. ზეთს. უამინდობის გამო (ძლიერი ქარი, კოკისპირული წვიმა, ყინვა) გაცდენილი მეცადინეობების გათვალისწინებით წელიწადში საშუალოდ საჭიროა 96 ტ. ბენზინი და 4,5 ტ. ზეთი.

სკოლას ჰყავს ორი ავტომანქანა, რომლებიც მოსწავლე სპორტსმენების გადაყვანას და ნაგებების გადატანას ემსახურება. მათთვის წლის განმავლობაში საჭიროა 3,0 ტ. ბენზინი და 300 ლ. ზეთი. 1984—1985 წლებში კი სკოლამ მიიღო საშუალოდ მხოლოდ 15 ტ. ბენზინი, ხოლო ზეთი საერთოდ არ მიუღია.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ქ. ქუთაისის ნიჩბოსნობის ბაზმეთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, რომელიც წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 1200 ლ. საწვავს ღებულობს.

ნიჩბოსნობასა და აფროსნობაში მეცადინეობის ჩატარების დროს აკრძალულია სპორტსმენების გაყვანა წყალზე მოტორიანი სამამშველო ნაგებების თანხლების გარეშე. ამასთანავე სპორტული ბაზის დირექცია ვალდებულია ბაზის აკვატორიაში უზრუნველყოს სპორტსმენთა უსაფრთხოება.

ვარჯიშის დროს, როგორც წესი წყალზე პირველი უნდა გავიდეს მწვრთნელი, სამამშველო მოტორიანი ნავით და ვარჯიშის დამთავრების შემდეგ იგი წყლიდან უნდა გამოვიდეს ბოლოს. ყველა მწვრთნე-

ლი ვალდებულია ჰქონდეს მოტორიანი ნავის მართვის უფლების მოწმობა.

სპორტული სკოლის ნორმალური მუშაობისათვის და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე მკაცრი კონტროლის დასაწესებლად აუცილებელია რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებს მიეცეს ორი პაზის ტიპის ავტობუსი და ორი სატვირთო მანქანა „გაზ-53“ მოძრავ სახელოსნოდ მოტორებისა და ნაგების სასწრაფო შეკეთებისათვის და საწვავისა და საცხები საშუალებების გადასატანად. აგრეთვე ფონდები და თანხა საჭირო რაოდენობის ბენზინისა და ზეთის, სპორტული ფორმისა და სამაშველო საშუალებების შესაძენად.

საჭიროა დაისვას საკითხი საქართველოს სსრ „დოსააფის“ წინაშე ნიჩბოსნების მწვრთნელთა გადამზადების შესახებ იმ ვარაუდით, რომ ყოველ მწვრთნელს მიეცეს მოტორიანი ნავის მართვის უფლების მოწმობა.

ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ უნდა გააძლიეროს კონტროლი და მომთხოვნელობა წყალთა სახეების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლისადმი.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სამმართველო



გადაწყვეტილება — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლაში გამოვლინებულ დარღვევათა შესახებ	3
გადაწყვეტილება — გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის „ისმოდა სროლა, ისმოდა ღვინოც“ შესახებ	7
გადაწყვეტილება — გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და ჭფუფების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგების შესახებ	10
ბრძანება № 184 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთა შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ	29
Приказ № 184 — Об утверждении Правил внутреннего трудового распорядка для работников общеобразовательных школ системы Министерства просвещения Грузинской ССР	48
გადაწყვეტილება — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოთა შესაქმნელად კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო ხელნაწერთა განხილვის წესის შესახებ	67
გადაწყვეტილება — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის დაგეგმვისა და მათი გამოსაცემად მომზადების წესის შესახებ	72
გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა შრომის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	74
გადაწყვეტილება — ნიჩბოსნობაში, მოსწავლე სპორტსმენთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ	87

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექნორედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 27/X-86 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-86 წ.;
ანაწყობის ზომა 6¹/₄×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 7,25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7.
შეკვეთა № 966 უე 10388 ტირაჟი 6000

უზახო

38-78-96

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიდის ქ. № 7
Типография Министерства просвещения Грузинской ССР, ул. Нуцубидзе, № 7